სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 მარტი 2006 №57 (2679) ფასი 50 თეთრი

ამას გვიმალავდით?!

შნორაკალემ, ცავატანემ, ალბანეთში მივდივართ

არწივებს და ქართველებს ქათამი რას შეაშინებს: თბილისიდან ტირანაში ორი გუნდი მიფრინავს

დღეს ტოპმიოლერმა თამაში უნდა ნახოს

რომ გვეგონა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პრეზიდენტისა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ჩამოსვლამდე ტაიმ-აუტი აქვს აღებულიო, თურმე...

გუშინ იმდენი ამბავი შევიტყვეთ, აღარც ვიცით, საიდან დავიწყოთ:

გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები 20 მარტს ალბანეთში მაინც გაემგზავრება, არწივეთში ქათმის გრიპის ეპიდემიის შესახებ ინფორმაცია კი ოდენ ადგილობრივი მედიის მიერ აგორებული და ინტერნეტში გაბუქული ცრუ განგაში აღმოჩნდა...

ეროვნულთა მატჩამდე ერთი დღით ადრე, 21 მარტს ალბანელ თანატოლებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გაეჯიბრება, რომლის შემადგენლობასაც „დე ფაქტო" მთავარი მწვრთნელი რალფ მინგე ორიოდ დღეში დაასახელებს...

ალბანელებთან სპარინგის ჩაშლის შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უკვე ჰქონდა სარეზერვო ვარიანტი და იმავე დღეებში ორი ნაკრებით სომხებთან აპირებდა გაჯიბრებას...

შოთა არველაძის, მალხაზ ასათიანის, მიხეილ აშვეთიას, გიორგი დემეტრაძისა და კახა კალაძის კვალად, ეროვნულმა ნაკრებმა გიორგი ქინქლაძე და ლაშა სალუქვაძეც მოისაკლისა...

სანაკრებო სიაში ვაკანსიებს კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ჩემპიონატში მობურთალი ბიჭებით შეავსებს. სელექცია დღეს „მიხეილ მესხზე" თბილისის „დინამოსა" და „ამერის" შეხვედრით გაგრძელდება, რომელზე დასწრებასაც ჰერ კლაუსი გეგმავს. ეროვნულის დამრიგებელი ნოდარ ახალკაცთან ერთად დღეს გამთენიისას უნდა დაბრუნებულიყო თბილისში...

და ერთიც: ფედერაციის სავარაუდო ტექნიკურმა სპონსორმა „პუმამ" თანხმობა უკვე თქვა, ქართულ მხარეს კი „ადიდასის" თხოვნა აბრკოლებს — საბოლოო შემოთავაზებისთვის ეგებ ერთი კვირაც გვადროვოთო...

გაფრი ჯიმლაძის ფოტო

სამჯერ ნუ გაგიკვირდებათ და...

სომხებს ბეწვზე გადავურჩით და ალბანეთში მინგეს ახალგაზრდულიც მიდის

რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი

ბუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო: საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები 20 მარტს ჩარტერული რეისით ტირანაში გაფრინდებიან. 21 მარტს ალბანეთის დედაქალაქში ახალგაზრდული გუნდები ითამაშებენ, მეორე დღეს კი ეროვნულები გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

ნუ გაგიკვირდებათ: შეთანხმებას ეროვნულთა მატჩამდე ერთი დღით ადრე ახალგაზრდული ნაკრებების გაჯიბრების თაობაზე მხარეებმა სამი დღის წინ მიაღწიეს. გადაწყვეტილების საფუძველი ქართული მხარის წინადადება გახდა. მორიგი „ნუ გაგიკვირდებათ": ქართულ მხარეში რალფ მინგე იგულისხმება, რომელიც, მართალია, ოფიციალურად მხოლოდ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთი თანაშემწეა, მაგრამ უკვე ასრულებს ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებლის ფუნქციებს. „დე ფაქტოს" „დე იურედ" ქცევას მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის გადაწყვეტილება სჭირდება. კობა ჟორჟიკაშვილი? მას თითქმის ყველა ქართველი ფეხბურთელის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია გააჩნია და, ბუნებრივია, მინგეს შესაბამის რეკომენდაციებს მისცემს. რაც შეეხება ახალგაზრდული ნაკრების სიას, ჯერჯერობით ბუნებაში არ არსებობს და ჰერ მინგე ორიოდ დღის შემდეგ გამოამზეურებს. ის უკვე დაესწრო ჩვენი ჩემპიონატის რამდენიმე შეხვედრას, ორი დღის წინ პირველ ლიგაში „ამერი 2" — „მესხეთის" დაპირისპირებას მიადევნა თვალი, ჩვენი ინფორმაციით, დღეს თელავში „კახეთ" — „ბორჯომზე" დასწრებას გეგმავს და ხვალისთვის კი ახალციხეში სტუმრობა აქვს გადაწყვეტილი. ამ ისტორიაში გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ რალფ მინგეს ისევ არ მიეცემა რამდენიმე ჩვენი ლეგიონერის გასინჯვის შესაძლებლობა, რომლებსაც, ფაქტობრივად, გასინჯვა არც სჭირდებათ. იგულისხმებიან თუნდაც გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე და ზაალ ელიავა...

ახლა ისიც ვთქვათ, რამდენად რეალური იყო ალბანეთ — საქართველოს „ამხანაგობის" ჩაშლა, რის შესახებაც გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ. არასასურველი აჟიოტაჟი ალბანეთში ქათმის გრიპის ვირუსის რამდენიმე შემთხვევის შესახებ ინტერნეტით გავრცელებულმა ინფორმაციამ გამოიწვია.

კიდევ ერთი „ნუ გაგიკვირდებათ": საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ოპერატიულად გამოძებნა სათადარიგო ვარიანტი და თუ არწივეთში სტუმრობა არ გამოვიდოდა, მეზობელ სომხებთან სპარინგს წინ ველარაფერი დაუდგებოდა. რალფ მინგეს თხოვნით, ამ ვარიანტშიც ახალგაზრდული ნაკრებებიც მოსინჯავდნენ ძალებს. გერმანელი მწვრთნელის თხოვნა გასაგებია: ორ თვეში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მალტელებთან ორრაუნდიანი დაპირისპირება ელის და ეს კანდიდატთა გამოცდის ერთ-ერთი ბოლო შანსია.

საკვირველი ამბების თხრობა აქ დავამთავროთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი წუხელ უნდა ჩამოფრენილიყვნენ თბილისში. ტოპმიოლერი დღეს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ტურის ცენტრალურ შეხვედრას მიადევნებს თვალს თბილისის „დინამოსა" და „ამერს" შორის. მოსალოდნელია, ამ შეხვედრის მონაწილე რამდენიმე ფეხბურთელმა ერთი კვირის თავზე ტირანის „ქემალ სტაფაზე" იბურთაოს — ჰერ კლაუსს მწვავე საკადრო დეფიციტი შეექმნა და სანაკრებო შემადგენლობის შევსება ჩვენს ჩემპიონატში მობურთალი ბიჭებით მოუწევს. ადრევე გაცნობეთ, რომ ეროვნულმა ნაკრებმა სხვადასხვა მიზეზით ჯერ შოთა არველაძე და მალხაზ ასათიანი, შემდეგ კი კახა კალაძე, მიხეილ აშვეთია და გიორგი დემეტრაძეც მოისაკლისა. ბოლო ინფორმაციით, ყაზანის „რუბინი", რომელსაც 22 მარტს რუსეთის თასის მეოთხედფინალში მოსკოვის ცსკა ელის, მიხეილ აშვეთიას გარდა, ლაშა სალუქვაძისა და გიორგი ქინქლაძის გამოშვებასაც უარობს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა მხოლოდ გოლკიპერ ნუკრი რევიშვილს მისცა ალბანეთში გამგზავრების უფლება. დიდი შანსია, ამ სიას კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაემატოს და ეს შანსი იმავ თბილისის „დინამოს", „ამერის", „ბორჯომის", „სიონის" თუ „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებმა სათავისოდ უნდა გამოიყენონ.

და ბოლოს: ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას ვერც ჰანს-პეტერ ბრიგელი ახერხებს. უეფას სანაკრებო მატჩების კალენდრის გვერდის ავლით სპარინგის დანიშვნამ პრობლემები ალბანელთა გერმანელ დამრიგებელსაც შეუქმნა.

გიორგი ნოზაძე

დევდარიანი გადადგა

თბილისში ახალი კაცია

„თბილისის" თავკაცმა გიორგი დევდარიანმა ამდენი შეჭირვება და წაგება ველარ აიტანა და მთავარი მწვრთნელობიდან გადადგა. დევდარიანი ჯერ კიდევ პირველ წრეში ამბობდა, 16-17 წლის ბავშვებით ვერანაირი შედეგი ვერ მექნება და თუ შემადგენლობა არ გაძლიერდება, „თბილისს" შევეშვებიო.

თბილისელებმა მეორე წრეც მარცხიანად დაიწყეს. მოთმინების ძაფი კი „ცხინვალთან" 0:3 წაგების მერე გაწყდა და...

„თბილისის" პრეზიდენტმა გოჩა თამაზაშვილმა გვითხრა, რომ დღეს „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში გუნდს თენგიზ კაცია უთავკაცებს, ხოლო შემდეგ ჩემპიონატში ათდღიანი პაუზა იქნება და ახალი თავკაციც ამ პერიოდში დამტკიცდება.

ილია ნანობაშვილი

არწივებს ქათამი შეგვაშინებს?!

მიქელე იანქუ ტირანიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"

ალბანეთში ქათმის გრიპი მძვინვარებს და შესაძლოა, 22 მარტის ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ნაკრები ტირანაში არ გაემგზავროსო, ამბობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში და საბოლოო სიტყვას კლაუს ტოპმიოლერისგან ელოდნენ, რომელიც თბილისში ამ დილით ჩამოვიდოდა.

რა ხდება ალბანეთში და მართლა არის თუ არა ქათმის გრიპის საშიშროება? ამ ამბების გასაგებად გუშინ ჩვენს ალბანელ კოლეგას დავუკავშირდით და საგაზეთო მასალა ვთხოვეთ...

არანაირი ქათმის გრიპი და რაიმე საშიშროება ალბანეთში არ არის. ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია საქართველოსთან მატჩისთვის ემზადება და „ქემალ სტაფას" სტადიონს აწესრიგებს. უკვე მატჩის პირდაპირი ტელე-რეპორტაჟი დაიგეგმა, ხვალიდან ბილეთების გაყიდვაც დაიწყება. საქართველოს ნაკრების ალბანეთში შესაძლო ჩამოუსვლელობის შესახებ არც ფედერაციაში და არც პრესაში, არავინ საუბრობს. მეტიც, ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მივეცით ინფორმაცია, რომ 21 მარტს ალბანეთ — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი გაიმართება.

ამ რამდენიმე დღის წინ ალბანეთის სამხრეთით, საბერძნეთის საზღვართან მკვდარი ფრინველი კი იპოვეს, მაგრამ ეს განგაშის საფუძველს არ იძლევა. ორშაბათს ქვეყნის პრემიერმინისტრმა საგანგებო წვეულება გამართა, თავისთან მიიწვია ყველაზე პოპულარული ალბანელები და მხოლოდ ქათმის ხორცით გაუმასპინძლდა. ქათმის გრიპი ალბანეთში აღარავის ახსოვს და ქათამსაც სიამოვნებით მივირთმევთ.

ერთი სიტყვით, ალბანეთი — საქართველოს ამხანაგური მატჩის გადადება ქათმის გრიპის მიზეზით უსაფუძვლო მგონია და ძალიან ცუდი იქნება, ეს შეხვედრა თუ ჩაიშლება. სხვა საქმეა, რომ მეტოქეებმა შესაძლოა, უძლიერესი ფეხბურთელებით ვერ ითამაშონ, 22 მარტი სანაკრებო მატჩებისთვის თავისუფალი დღე არ არის და დიდი შანსია, კლუბებმა ფეხბურთელები არც გაათავისუფლონ. სადღეისოდ ის ვიცით, რომ ამ მხრივ იგლი ტარესა და ერვინ ბეჩირის აქვთ კლუბებთან პრობლემები. თუმცა ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი ჰანს-პეტერ ბრიგელი საქართველოსთან მატჩისას ექსპერიმენტების ჩატარებას აპირებს და ვფიქრობ, საამისოდ, უძლიერესი შემადგენლობა არც უნდა დასჭირდეს.

ვნახოთ, ჩვენ უკვე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაც კი დავბეჭდეთ...

ალბანელი ქათმები თავს თურმე მშვენივრად გრძნობენ

ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის კალენდარული დავიდარაბა დასრულდა, უეფამ B ჯგუფის წევრები თავად მოარიგა და, როგორც გამოჩნდა, ყველაზე მეტად იმ უკრაინას ასიამოვნა, რომელმაც დანარჩენ ექვსს მანამდე თითქმის შეთანხმებული ვარიანტი ჩაუშალა.

„საფრანგეთს ყველა შესაძლო ვარიანტიდან უცუდესი ერგო“ — განაცხადა ნაწილისყრევს ფრანგთა თავკაცმა რაიმონ დომენეკმა, თუმცა ეს უკრაინელებს სულაც არ ანაღვლებთ: ფრანგებს და იტალიელებს ასეც ეკუთვნოდათო, ამბობენ...

მოკლედ, საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს ჩვენი ჯგუფის კალენდარზე უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ოლეგ კუზნეცოვი, ვინც პარიზულ მოლაპარაკებებსაც ესწრებოდა და ნიონში უეფას კენჭისყრაზეც გახლდათ...

საფრანგეთი და იტალია მეტს არც იმსახურებდნენ

ოლეგ კუზნეცოვი: აბა, ვის აქვს ჩვენი დარი კალენდარი?!

— თქვენს გარდა ნიონში საფეხბურთო უკრაინას ვინ წარმოადგენდა?

— ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ბანდურკო. წილისყრის შემდეგ ყველა ერთ აზრზე ვიდექით — ახლანდელი ვარიანტი ათჯერ უკეთესია პარიზში მიღებულთან შედარებით.

— უკრაინა პირველ ტურში ისვენებს...

— გარკვეულწილად ეს კარგიცაა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთელებს შესაძლებლობა ეძლევათ, ცოტა დაისვენონ.

— კენჭისყრამდეც იყო შანსი, მეტოქეებთან კერძოდ, საფრანგეთთან შეთანხმება მომზდარიყო. ვერ მოილაპარაკეთ?

— კალენდრის წინა ვარიანტი ექვსივე მეტოქეს მოსწონდა, ჩვენ კი ხელს არ გვაძლევდა, რადგან არასამართლიანია, როცა შესარჩევის ბოლოს რომელიმე გუნდს ზედიზედ ორზე მეტი საშინაო მატჩი უწევს. ფრანგებს კი ასეთი ოთხი თამაში ჰქონდათ, თანაც ბოლო ტურში ჩვენ გვმასპინძლობდა.

— რატომ არ წავიდნენ ისინი დათმობაზე?

— კენჭისყრაზე მათგან მხოლოდ რაიმონ დომენეკი ჩამოვიდა. როცა მას ვკითხეთ, კომპრომისზე რატომ არ მოდიხართო, გვიპასუხა, რომ ჯერაც არ იცის, იქნება თუ არა ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის მერე და ამიტომ არ უნდა, ამ კალენდრის გამო თავი დამნაშავედ იგრძნოს და მომავალ მწვრთნელს თვალებში ვერ შეხედოს.

— კი მაგრამ, უეფას წილისყრის შემდეგ ისინი მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ...

— მართალია. შოტლანდიას მოეწონა, ფარერები, ლიტვა და ჩვენც კმაყოფილები ვართ. ბოლომდე კმაყოფილი არაა საქართველო, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ყველაზე მეტად ეს კალენდარი იტალიას და საფრანგეთს არ მოეწონათ.

— როდის გაირკვევა ფარერებთან მატჩის აგვისტოში გადატანის საკითხი?

— ჯერ არ ვიცი. ფარერებთან 24 მარტს უნდა გვეთამაშა, მაგრამ გვინდა, შეხვედრა აგვისტოში ჩავატაროთ. ეს ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, რადგან ექვსივე მეტოქის დასტური გვჭირდება და გამორიცხული არაა, ფრანგებმა ისევ გაგვირთულონ საქმე. არადა, თავად ფარერები ამბობდნენ, რომ მარტში, ოქტომბერსა და ნოემბერში ცუდი ამინდის გამო თამაშების ნორმალურად ჩატარება არ შეუძლიათ. ისიც თქვეს, სტუმრები ძალიან გარისკავენ, რადგან ამ პერიოდში ფრენა შუზღუდულია და პრობლემები შეექმნებათო. ვნახოთ, რას გვეტყვიან მეტოქეები. თუ არ დაგვთანხმდნენ, რა გაეწყობა, მარტში მოგვიწევს ფარერებზე ჩასვლა.

ფოტობლოკი ბლიკში

ყაველაშვილი გვერდზე რომ გვეგონა, გვერდზე ყოფილა

შეგვეძლო, ამ ფოტოებისთვის ერთი საერთო და ძალიან ბანალური წარწერა გაგვეკეთებინა: „შევიდა, გაიტანა, გამოვიდა“. მაგრამ ყაველას ფეხბურთში დაბრუნება და იმ გოლის მნიშვნელობა გვავალდებულებს, უფრო გულიანად ვთქვათ.

მიხეილ ყაველაშვილის დაბრუნება და პირველივე მატჩის წამატებულ დროში „გრასჰოპერისთვის“ გატანილი გოლი უდავოდ არის კვირის მთავარი ლეგიონური ამბავი ქართულ ფეხბურთში და თან ისიცაა: რომ გვეგონა, უეფას თასს ერთადერთი ქართველი ლევან კობიაშვილი შემორჩა, აგერ, ყაველაშვილიც საქომაგო გვყოლია.

ხოლო ბაზელური გაზეთი „ბლიკი“, რომლის გვერდსაც წარმოგიდგენთ, აი, ამგვარად გამოეხმაურა მიხეილ ყაველაშვილის დაბრუნებას და მის ბაზელურ დებიუტს.

უეფამ კუნძული დაადასტურა

ფრანგები დღეს იტყვიან, ადიდასი — ერთ კვირაში

რომ ვიფიქრეთ, ეგ არის და, გვეშველაო, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კალენდარი საბოლოო სახით ჯერაც ვერ ვიხილეთ. მართალია, მხოლოდ ფორმალური ნაწილია დარჩენილი, მაგრამ სანამ უეფას მიერ კენჭნაყარ კალენდარს B ჯგუფის შვიდივე ქვეყნის წარმომადგენლის დასტური არ ექნება, დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება. არადა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფადან უკვე მიიღო პასუხი — თანახმა ვართ, თქვენი და ფარერების შეხვედრა 2007 წლის 17 ნოემბრის ნაცვლად 2006 წლის 16 ავგისტოს გაიმართოსო. ის ერთადერთი ქვეყანა კი, რომელმაც ტექნიკური მიზეზების გამო დღემდე ვერ გამოგზავნა დასტური, საფრანგეთია — „ქართული ფეხბურთის სახლსა“ და უეფაში შესაბამის ფაქსს დღეს ელიან.

ფარერის კუნძულებთან სასტარტო შეხვედრის გამართვა მნიშვნელოვნად ცვლის საერთო სურათს და საქართველოს ნაკრებს აქვს შანსი, ჯგუფის ერთბაშად სამ ფავორიტთან საშემოდგომო მატჩებს ამაღლებული განწყობით შეხვდეს...

ეს კალენდარს რაც შეეხებოდა და უყურადღებოდ ვერც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური სპონსორის საკითხს დავტოვებთ. „ძველმა“ ნაცნობმა „პუმამ“ უკვე წარმოადგინა საკუთარი შემოთავაზება და შეთანხმებას მხოლოდ ქართული მხარის ხელმოწერაღა აკლია. სავარაუდო კონტრაქტი მომავალი შესარჩევი ციკლის განმავლობაში ეროვნული, 21, 19 და 17-წლამდელთა ნაკრებების უფასოდ შემოსვას ითვალისწინებს.

შეთანხმება უკვე ხელმოწერილიც იქნებოდა, რომ არა „ადიდასი“. ამ ფირმის წარმომადგენლებმა დამატებით ერთკვირიანი ვადა ითხოვეს საიმისოდ, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ. ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა და ავტორიტეტი იმის იმედს არ იძლევა, „ადიდასისგან“ უფასოდ შემოსვის გარდა „მწვანეებსაც“ ველოდოთ, მაგრამ უკვე კარგია, რომ ასარჩევადაა საქმე...

გიორგი ნოზაძე

დამტკიცებული გოგუა

გუშინ ნალჩიკის „სპარტაკმა“ ოფიციალურად დაამტკიცა ახალწვეული გოგიტა გოგუა და საჩემპიონატო განაცხადშიც შეიყვანა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ახალ გუნდში შვიდნომრიანი მაისურით ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ გოგუა ორიოდ თვის წინ „ხიმკიდან“ გადავიდა „სპარტაკში“, იქამდე კი „თბილისში“ თამაშობდა.

რუსეთის ჩემპიონატი 18 მარტს იწყება და, „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, გოგუას ნალჩიკელთა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეს — მოსამზადებელ შეკრებაზე ჩატარებულ ტესტ-მატჩებში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

კახა შალამბერიძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

19 ტური ანონსი

ვინ რისი მაქნისია?

დინამო: სახელი და მხოლოდ მოგება

ამერი: ბრძოლა და გუნდურობა

გაჭრი ქართველიშვილის ფოტო

პირველი წრის „ამერი“ — „დინამო“ 1:1 დამთავრდა

„დინამო“ თუ „ამერი“? ეს თამაში მხოლოდ სატურნირო მდგომარეობით როდია მნიშვნელოვანი — ორივე გუნდს მართებს იმის დამტკიცება, რისი მაქნისია.

„ამერს“ ჯერჯერობით უჭირს პრინციპული მატჩების მოგება, უშუალო კონკურენტების დამარცხება. მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში „ამერმა“ შინ „ზესტაფონს“ 2:0 სძლია და იმის აქეთ პრინციპული მატჩი აღარ მოუგია.

ამ მხრივ დიდად ჯერ ვერც „დინამო“ დაიტრაბახებს. პირველ წრეში წააგო „ზესტაფონთან“, „ბორჯომთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“, თუმც მოუგო პირველი წრის „ლოკომოტივს“ და „სიონს“, მეორე წრეში ფრე ითამაშა „ზესტაფონთან“, ხოლო „ამერთან“ შეხვედრა ფრედ, 1:1 დამთავრდა.

„დინამოსთვის“ წარმატებულ შედეგად მხოლოდ ჩემპიონობა ჩაითვლება, „ამერს“ კი ასეთი კატეგორიული დავალება არ აქვს თავისი ხელმძღვანელობისგან და ალბათ დღევანდელ მატჩში ამერელები ფსიქოლოგიურად უფრო თავისუფლად იგრძნობენ თავს. შეხვედრას კი კლაუს ტოპმიოლერი დაესწრება.

აი, რას ამბობენ ამ თამაშზე „დინამოს“ და „ამერის“ მთავარი მწვრთნელები.

ანდრეი ჩერნიშოვი: „ამერი“ ცხრილში ზემოთაა და ვიცი, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდია. ბოლო მატჩებში ამერელებმა ბევრი გოლი გაიტანეს. მოკლედ, ამ გუნდს საკმაოდ სერიოზულ მეტოქედ მივიჩნევ.

— „დინამოში“ დაბრუნებული ფეხბურთელების, ლადო ბურდულის და ვიტალი დარასელიას მზადყოფნაზე რას გვეტყვით? რა შთაბეჭდილება დატოვეს მათ „ზესტაფონთან“?

— ისინი უდავოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა ეტყობათ, თან დიდი დრო არ გასულა, რაც ჩვენ შემოგვიერთდნენ. ვფიქრობ, ყველაფერ ამას უმოკლეს დროში დაძლევენ.

— „ამერთან“ მატჩისთვის „დინამოს“ შემადგენლობა ადრინდელთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვლება?

— შემადგენლობაში მართლაც იქნება ცვლილებები, რადგან ისინი, ვინც დავალებას ვერ ასრულებენ, უნდა შეიცვალონ. „დინამოში“ კონკურენციაა, ოცი ისეთი ფეხბურთელია, ნებისმიერ დროს რომ შეუძლიათ ძირითადში მოხვედრა.

— ტაქტიკასაც შეცვლით?

— ეს ნებისმიერ მატჩშია მოსალოდნელი. ტაქტიკას იმის მიხედვითაც ვცვლით, შინ ვთამაშობთ თუ სტუმრად. როცა შინ ვთამაშობთ, მკვეთრად შემტევ ტაქტიკას ვირჩევთ.

— „ამერთან“ მატჩში ალბათ ფრე არ დაგაკმაყოფილებთ...

— ყველა თამაშზე მოსაგებად გავდივართ და ამას ახლა სატურნირო მდგომარეობაც გვავალდებულებს — ნებისმიერი დაკარგული ქულა ხომ ამოცანას გვირთულებს.

გიორგი ჩიხრაძე: თუ ფეხბურთელების გვარ-სახელებს და ტიტულებს ავიღებთ, უპირატესობა „დინამოს“ მხარესაა, მაგრამ გუნდური თამაშისა და ბრძოლისუნარიანობის მიხედვით, ძალები თანაბარია.

— „დინამოსთან“ მხოლოდ ბრძოლის იმედად ხართ?

— არა მხოლოდ. ჩვენ ისეთი კვალიფიციური ფეხბურთელები გვყავს, დავალების შესრულება, ამოცანის გადაჭრა რომ შეუძლიათ.

— ნახევარმცველი დენის დობროვოლსკი და შემტევი ალექსანდრე კაიდარაშვილი დისკვალიფიცირებულები არიან — „ამერის“ ტაქტიკას ეს მკვეთრად შეცვლის?

— ამას წინასწარ ვერ გეტყვით, მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ ორ ტაქტიკურ ვარიანტს განვიხილავთ.

— მეორე წრეში კალენდარი გადატვირთულია, რაც ალბათ „დინამოს“ უფრო აწყობს...

— რა თქმა უნდა, ასეა. „დინამოს“ აქვს საკუთარი ბაზა, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს სრულფასოვანი ვარჯიშისთვის და აღდგენითი პროცესისთვის. ეს დიდი პლუსია.

— საერთოდ, „დინამოს“ პლუსმინუსებზე რას იტყოდით?

— „დინამო“ ყოველთვის „დინამოა“, თან ახლა შაშიაშვილით, ბურდულით და დარასელიათი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. რაც შეეხება ნაკლს, გუნდს მწვრთნელი შეეცვალა და რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ჰყავს, რის გამოც ჯერ შეთამაშება აკლია.

ანდრეი ჩერნიშოვი

გიორგი ჩიხრაძე

თბილისი. 15 მარტი. 15 საათი. შევარდენი

სოხუმი — სპარტაკი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. ჯვარიძე, ზ. გურგენაძე; ლ. სილაგავა;
დამკვირვებელი: ი. მჭედლიშვილი

თელავი. 15 მარტი. 15 საათი. გივი ჩოხელი

კახეთი — ბორჯომი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; გ. ცირდავა, დ. კურტანიძე; ა. კრიჭაშვილი;
დამკვირვებელი: ს. კოტრიკაძე

ფოთი. 15 მარტი. 15 საათი. ფაზისი

კოლხეთი — სიონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; პ. დოგრაშვილი;
დამკვირვებელი: მ. მირცხულავა

ბათუმი. 15 მარტი. 15 საათი. დინამო

ბათუმი — ტორპედო

მსაჯები: მ. მაისურაძე; დ. კვეტენაძე, ლ. თოდრია; ა. ნონიკაშვილი;
დამკვირვებელი: ტ. ნიშნიანიძე

თბილისი. 15 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი

დინამო — ამერი

მსაჯები: ა. ორდინიძე; ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე; ლ. მიქელაძე;
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

ზესტაფონი. 15 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — ცხინვალი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ფიფია, ვ. გუმბერიძე; გ. კოკაჩეიშვილი;
დამკვირვებელი: ვ. ბაჩუკაშვილი

გორი. 15 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — ლოკომოტივი

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; ნ. რუსიშვილი, ზ. ერქვანია; მ. ბეუქლიშვილი;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

თბილისი. 15 მარტი. 15 საათი. ოლიმპი

თბილისი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ხუციშვილი, ბ. ჭიჭინაძე; ო. ხეცაძე;
დამკვირვებელი: ნ. კაკულია

...და სხვა

ცანკერი და გოგონები თელავში

დღევანდელ ტურში საინტერესო მატჩებს სხვაგანაც ველით. „ბორჯომს“ გასეირნება არ უნდა ელოდეს თელავში, სადაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი ჰერბერტ ცანკერიც იქნება და შესაძლოა, მატჩს კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგეც დაესწროს. თელავშია მსაჯთა შეფი ამირან კაჭახიძეც, რომელმაც იქ გოგონები, დამწყები მსაჯებიც წაიყვანა — სამი თინეიჯერი გოგონა „კახეთის“ ფეხბურთელებს ლექციას წაუკითხავს ფეხბურთის ახალ წესებზე — ასეთია მათი მისია.

არც ბოლნისის „სიონს“ ელის იოლი თამაში „კოლხეთთან“ — ფოთელები შინ ტრადიციულად კერკეტ გუნდად წარმოაჩენენ ხოლმე თავს.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის ქვევით ფავორიტი „ბათუმია“, თუმც არც „ტორპედოა“ ხელწამოსაკრავი მეტოქე.

ლიდერი „ვიტ ჯორჯია“ კი იმ „თბილისს“ ეთამაშება, ხანდახან მტკიცე ხასიათის გუნდად რომ მოგვევლინება და ვიტელებსაც სიფრთხილე მართებთ.

დავით თავართქილაძე

დისკვალიფიცირებულები:

„ბათუმი“ — გიორგი მანწკავა
„სიონი“ — ლევან ხმალაძე, კოკა მიკუჩაძე
„ამერი“ — ალექსანდრე კაიდარაშვილი, დენის დობროვოლსკი
„ზესტაფონი“ — კახა ჩხეტიანი, სევასტი თოდუა
„დინამო“ — კახა მახარაძე
„სოხუმი“ — თემურ გადელია
„ვიტ ჯორჯია“ — გიორგი დათუნაიშვილი, ლუკა რაზმაძე
„სპარტაკი“ — გელა ხუბუა
„ცხინვალი“ — რევაზ ხაჭაპურიძე, დავით ეჯოშვილი
„ტორპედო“ — ირაკლი კობახიძე

ვიტ ჯორჯია	18	14	3	1	38:10	45
სიონი	18	13	3	2	36:14	42
დინამო	18	12	3	3	31:11	39
ამერი	18	11	2	5	24:12	35
ბორჯომი	18	11	1	6	32:16	34
ზესტაფონი	18	10	4	4	23:14	34
ლოკომოტივი	18	10	3	5	29:17	33
ბათუმი	18	8	5	5	21:14	29
კოლხეთი	18	7	3	8	16:20	24
კახეთი	18	6	1	11	18:27	19
ცხინვალი	18	5	3	10	17:33	18
დილა	18	5	2	11	21:27	17
ტორპედო	18	4	5	9	14:24	17
სოხუმი	18	3	1	14	17:44	10
სპარტაკი	18	2	3	13	4:33	9
თბილისი	18	1	2	15	11:36	5





დავით კვინიკაძე და ზურაბ ჯაფარიძე

კვინიკაძემ, უხერხულიაო

ბათუმმა, ბოლნისი კი არა, მაისში ბრაზილიას ვძლიო

ისევ „სიონ“ — „ბათუმის“ გახმაურებულ მატჩზე...

ბოლნისელები არ ცხრებიან და ამ თამაშის მსაჯობით აღშფოთებულნი ფედერაციაში პროტესტის შეტანას აპირებენ. ბოლნისელების თქმით, მატჩის წინ მსაჯთა ოთახში ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენმდივნის დავით კვინიკაძის ყოფნამ მოგვიანებით თამაშზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და აშკარად ჩანდა მსაჯ ლაშა სილაგავას „ბათუმისადმი“ სიმპათიები...

მოკლედ, ბოლნისური ამბები გრძელდება... გუშინ ამ მატჩის თაობაზე „სიონის“ ვიცე-პრეზიდენტის დავით სილაგაძისა და ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარის ამირან კაჭახიძის განცხადებანი შემოგთავაზეთ, დღეს კი კიდევ ერთი მხარის, „ბათუმის“ პრეზიდენტ ზურაბ ჯაფარიძის ნათქვამს გაგაცნობთ. თანაც, „სიონი“ ხომ სწორედ მის ხელში მოღონიერდა, როცა ის ბოლნისის გამგებელი იყო.

ისე კი, გუშინ ბოლნისური ამბის მთავარ პირს — დავით კვინიკაძესაც დავუკავშირდით, თუმცა მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა, უხერხულია, რამე ვთქვაო...

ჯაფარიძემ კი ეს გვითხრა...

— ბოლნისის „სიონი“, ფაქტობრივად, ჩემი აღორძინებულია, ამ კლუბში ჩემი მეგობრები მუშაობენ, ბოლნისში ბევრი ახლობელი მყავს და საწყენია, რომ „სიონ“ — „ბათუმის“ მატჩს ასეთი გამოხმაურება მოჰყვა. ვფიქრობ, განცხადებებს რაღაც პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, რაც ძალიან არასასურველია. ფეხბურთი სპორტია და გუნდებს შორის ურთიერთობაც სწორედ მოედანზე უნდა გაირკვეს. მატჩი კი ძალიან საინტერესო და თვალსასეირო გამოვიდა. პირველ ტაიმში „ბათუმმა“ მეტოქეს აშკარად აჯობა, თუმცა შესვენების შემდეგ უპირატესობა უკვე „სიონს“ ჰქონდა, ანგარიშიც შესაბამისი მივიღეთ.

— მსაჯობაზე რას იტყვით?

— ლაშა სილაგავა წესიერი და პატიოსანი კაცია და ეს თამაშიც მართლაც კარგად იმსაჯა. ყველა მატჩში რომ ასეთი მსაჯობა იყოს, ქართული ფეხბურთის დონე მნიშვნელოვნად ამაღლდებოდა. „ბათუმი“ მსაჯობით კმაყოფილია. თუ ვინმეს პატიოსნად მსაჯობა არ აწყობს, ეს სხვა საქმეა.

— თქვენ ხომ არ იცით, მატჩამდე დავით კვინიკაძე მსაჯთა ოთახში რატომ იყო?

— კვინიკაძე საქართველოს მოქალაქეა და ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში ჩასვლა შეუძლია, ჩავიდა ბოლნისშიც. მეტი რა გითხრათ... ვერ გამიგია, მის იქ ყოფნას ასეთი მითქმა-მოთქმა რატომ მოჰყვა.

— „ბათუმში“ ახალი რა ხდება?

— მნიშვნელოვანი არაფერი. ორიოდ დღის წინ ისევ დავიმატეთ ფორვარდი მიხეილ კაკალაძე, რომელიც თბილისის „დინამოდან“ გადმოვიყვანეთ. უახლოეს დღეებში კამერუნელ ფეხბურთელებს ველით, მაისში კი რამდენიმე ბრაზილიელი კიდევ უნდა ჩამოვიდეს. სერიოზული გუნდის გაკეთებას ვაპირებთ.

კობა ინასარიძე

51:49 გამგეობა და სიურპრიზინვესტი

დავით კირკიტაძე: გაყოფილი სიონის საპატიო პრეზიდენტი

ხვალ პირველ საათზე სასტუმრო „მარიოტში“ ბოლნისის „სიონის“ დამფუძნებელთა საერთო კრება გაიმართება, სადაც კლუბის აქციები გადანაწილდება. უკვე ცნობილია, რომ „სიონის“ აქციათა 51 პროცენტი ბოლნისის გამგეობას დარჩება, ხოლო დანარჩენი 49 კერძო პირის საკუთრება იქნება. ამ კერძო პირის ვინაობას კი ბოლნისელები ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ, ამბობენ, სიურპრიზი გელით, „სიონში“ საკმაოდ სერიოზული ინვესტორი მოდისო.

დავით კირკიტაძე

ხვალინდელ შეკრებაზე ასევე გამოცხადდება კლუბის საპატიო პრეზიდენტის ვინაობაც — ის საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე გახლავთ.

რაც შეეხება მე-18 ტურის „სიონ“ — „ბათუმის“ სკანდალურ მატჩს და მის მსაჯობას, როგორც ბოლნისელებმა გვითხრეს, მომხდარის გაპროტესტებას ისინი ისევ აპირებენ, რასაც ფოთში „კოლხეთთან“ დღევანდელი მატჩის შემდეგ გააკეთებენ.

კობა ინასარაძე

ოთარ გაბელია: შეფურთხება არასოდეს მიკადრებია

გუნდს მიხედონ და თავი დაგვანებონ

კახა ცხადაძის გაძევება, დავით კვინიკაძის სამსაჯო ოთახში შესვლა, გინება და ნერვების წყვეტა — ეს ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ გუშინწინ „სიონის“ ვიცე-პრეზიდენტმა დავით სილაგაძემ სრულიად ახალი რამ თქვა: „თუ ცხადაძე გააძევეს, რატომ ის ვერ დაინახეს, „ბათუმის“ მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ მსაჯს რომ შეაფურთხა?!“



მოკლედ, ასეთი სკანდალებით იყო დატვირთული „სიონ“ — „ბათუმის“ სანახაობრივად მართლაც კარგი თამაში.

ჩვენც, ცხადია, ოთარ გაბელიას კომენტარი ვთხოვეთ...

— რა შეფურთხება, საიდან მოიტანეს?! რაც უნდა მეზიზღებოდეს ადამიანი, მას როგორ შევაფურთხებ?! შესაძლოა, მსაჯს შევაგინო, მაგრამ ეს უკვე ნამეტანია.

— ფაქტია, რომ დავით სილაგაძემ დაგადანაშაულათ...

— მე არავითარი პრეტენზია არ მქონია მსაჯობასთან, ვიჯექი სათადარიგოთა სკამზე და გუნდს ვხელმძღვანელობდი. მაგათ თუ უნდათ, წყობიდან გამომიყვანონ, არ ვიცი... დავუშვათ და, მართლაც შემეფურთხებინა, დავით სილაგაძე ამას საიდან დაინახავდა? ის ვიცე-პრეზიდენტია და თუ სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ეგ დანაშაულია.

— იქნებ, მატჩის შემდეგ...

— არა, ბატონო, ნერვებაშლილი კი ვიყავი, მოგებული თამაში რომ ფრედ დავასრულეთ, მაგრამ შეფურთხება რა შუაშია?! სილაგაძეს მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ვურჩევ, გუნდს მიხედოს — „სიონს“ კარგი ფეხბურთელები ჰყავს, სერიოზული შედეგის მიღწევა შეუძლია და სჯობს, პროვოკაციებზე ნუ წამოვლენ. ვერ მოგვიგეს და რაღაცები მოიგონეს. დავით კვინიკაძეს კი, როგორც გავიგეთ, რაგბის ანგარიში აინტერესებდა, ხუთი წუთით შესულა მსაჯთა ოთახში და ამას ამხელა კუდი გამოება.

ილია ნანობაშვილი

სიონი 1600

ნამეტანი მძიმე ყოფილა თქვენი ქვა, უფროსო

ბოლნისურ „სიონ“ — „ბათუმს“ უკვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ვინძლო, საქმე ასე იოლად არც მოთავდეს. გუშინ გამართულ პროფლიგის სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის სხდომაზეც (სტკ) „თამაზ სტეფანიაზე“ მომხდარი არეულობები იყო მთავარი თემა. სტკ-ის გადაწყვეტილებით, „სიონი“ მთლიანობაში 1600 ლარით დაჯარიმდა. აქედან 1000 ლარი გულშემატკივართა მხრიდან ქვის სროლას შეეწირა: ქვა მსაჯის ასისტენტს მოხვედრია; 300-300 ლარით კი „სიონის“ დირექტორი არჩილ შაკიაშვილი და მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე დაისაჯნენ — მიზეზი მსაჯების გინებაა. გარდა ამისა, ცხადაძეს ორთამაშიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს.

კახა ცხადაძე

ახლა სხვა ვერდიქტებზე: „ბორჯომთან“ წაგებული 0:3-ის შემდეგ „სოხუმის“ თავდამსხმელმა თემურ გადელიამ თანამსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ამისთვის ორ თამაშს გამოტოვებს, ზედაც 300 ლარს გადაიხდის. „დინამოსთან“ გაძევებული „ზესტაფონის“ მცველი სევასტი თოდუა ერთი თამაშით და 50 ლარით დაჯარიმდა.

ერთი სანქცია პირველლიგელებსაც „ერგოთ“: „გურია“ — „ზუგდიდის“ მატჩისას მასპინძელი დავით სულაქველიძე და სტუმარი დავით ზაქარაია ერთმანეთის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 250-250 ლარს გადაიხდიან და 5-5 მატჩს გამოტოვებენ.

და კიდევ ერთი ცნობა პროფლიგიდან: დღევანდელი „დინამო“ — „ამერის“ შეხვედრას ტელეკომპანია „იმედი“ გარკვეული მიზეზების გამო ვერ აჩვენებს. „ტვ აჭარა“ კი, ჩვეულებისამებრ, პირდაპირ ეთერში გადასცემს „ბათუმ“ — „ტორპედოს“.

ილია ნანობაშვილი

ბექჩი და ანრი: ახალი საძმო?

ვენგერი ბექემში ფულის მანქანას კი არა, ზემოთამაშეს ხედავს



სწორედ წინა ოთხშაბათს იყო, რომ „ჰაიბერი“, რომელიც წლეულს უკანასკნელ, სევდით გაჯერებულ სეზონს ილევს, გამარჯვებას ზეიმობდა: მადრიდის „რეალი“ უხასიათოდ გავიდა მოედნიდან მსაჯის სასტვენის შემდეგ, „არსენალმა“ კი თავისთვის ალბათ ყველაზე უიღბლო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გააგრძელა სვლა.

მადრიდელთაგან მინდორზე ერთადერთი კაცი დარჩა, მან ოთხივე ტრიბუნას ჩამოუარა ტაშით და ჰაეროვანი კოცნებით და ღიმილთ გამოეთხოვა მეტოქე ფანებს. ეს კაცი, ცხადია, დევიდ ბექემი იყო და მედიას მაშინვე გაუკვირდა: რატომ მოიქცა ბექჩი ასე? იმიტომ, რომ ის ლონდონელია — ასე მიუგო არსენ ვენგერმა ჟურნალისტებს — ამ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა და ყველა აქაური სტადიონი მისი სახლია. მედიამ ეს ასე გაიგო: ბექჩს თავის სახლში უნდა. მით უმეტეს, რომ „რეალიდან“ მიაბრძანებენ რობერტო კარლოსს და რონალდოს, პატივით გააცილებენ ზიდანსა და სხვებსაც, ხოლო ბექჩს კონტრაქტზე გაუბამენ ლაპარაკს.

იცით, ვინ ისხდნენ გვერდიგვერდ „ჰაიბერიზე“ „არსენალ“ — „რეალის“ მატჩზე? ვიქტორია ბექემი და ნიკოლ ანრი, ადგილები კი ტიერი ანრის კერძო ლოჟაში იყო. ესეც, რა თქმა უნდა, ჭორების საფუძველს იძლევა. მედიის აზრი კი ისეთია, რომ გაისიდან ბექემი „არსენალში“ იქნება. არსენ ვენგერი სწორედ ახლა წყვეტს ამ საკითხს, რადგან სხვა დიდი ხიფათი ელის: კლუბის უფროსობამ უთხრა, რომ შესაძლოა, ტიერი ანრი კატალონიაში აღმოჩნდეს. თუმცა აქ ბევრი „მაგრამ“ მოიძებნება.

ამ ცნობათა ოფიციალური დასტური არ არსებობს, მაგრამ წყალქვეშა მოძრაობები შესამჩნევია. სჭირდება თუ არა ჰაიბერელ მაესტროს ბექჩი და მისი მაისურა, რომელსაც რაფრადაც გინდა, იმ ფრად შეღებავ, მთავარია, ზედ გვარი ეწეროს, მისახვედრი უნდა იყოს. „არსენალი“ ბექემში იმდენად ფულის მანქანას კი არ ეძებს, რამდენადაც ფეხბურთელს. ვენგერი ამბობს: „ის ზემოთამაშეა. ეგებ ეს არ ჩანს და შემომედავონ, მაგრამ მას საუკეთესო სტატისტიკა აქვს „რეალში“. ყველაზე მეტი საგოლე პასი პრიმერაში. დარტყმათა სიზუსტის უმაღლესი პროცენტი... თან ამბობენ, რომ ის ვერ თამაშობს. ამ კუთხით ის მიშელ პლატინის მაგონებს. ფრანგები ძნელად უგებდნენ პლატინის, მხოლოდ მას შემდეგ დაინახეს მისი ფეხბურთელობა, რაც მიშელი ფეხბურთიდან წავიდა. ბექემი მთავარი კაცია მადრიდში, როცა მთელი გუნდი ჩასვრილი იყო, ბექჩი ერთადერთი კაცი იყო, ვინც კარგად თამაშობდა. ეს ყველა სპეციალისტმა იცის. რაც შეეხება „არსენალში“ გადმოსვლას, ჩვენ არ ვიცით ერთმანეთის აზრი მაგ საკითხზე. საერთოდ, ბექჩთან იწილო-ბიწილო საჭირო არაა, თუ გინდა შენს გუნდში, პირდაპირ ეტყვი... მე 20 კაცის გვარს დაგისახელებთ, ვისაც ხვალვე ვიყიდიდი.“

ვენგერის ამ სიტყვების უკან მედიამ ბევრი რამ ამოიკითხა. კულუარული აზრი ასეთია: ამ ორ-სამ თვეში ბექემი გადაწყვეტს. მას მადრიდში კონტრაქტის ერთი წელი დარჩა, ახალი პრეზიდენტი ფერნანდო მარტინი ალბათ ქალაღდების და ხელფასის განახლებას შესთავაზებს. ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან სწორედ ბექემმა, მისმა ოქროს ფეხმა და ატლასის სამოსელმა აქცია მადრიდელები ვალებიანი გოლიათიდან წლის უმდიდრეს კლუბად. თუმცა მადრიდელებმა ეგებ მისი გაყიდვაც გადაწყვიტონ სწორედ ამ ზაფხულს, თუკი მასთან მოლაპარაკებას გართულებულ საქმედ მიიჩნევენ. ამ ისტორიას წვეთი წყალივით ჰგავს ტიერი ანრისა და „არსენალის“ ისტორია. საერთოდ, ანრისა და ბექჩს შორის რაღაც მოძრაობებია: თამაშის წინ ისინი შინაურულად საუბრობდნენ, ცოლები მეგობრობენ, ანრი ხშირად სტუმრობს ბექემიანთ მადრიდულ სახლს და ასე შემდეგ. ვარიანტი ბევრია: ვენგერი ახალი გუნდის შენებას იწყებს და თუ ბექემი „არსენალში“ გადადის, ანრიც იქვე რჩება? ეს ყველაზე სასიხარულო ვარიანტია „მეთოფეებისთვის“. ისინი ერთად მილიონებს მოუტანენ კლუბს და გამარჯვების გემოსაც დაუბრუნებენ. განა ანრის დაბეებული აქვს ადგილი „ბარსას“ ძირითადში? „არსენალი“ კი მას ზღაპრულ ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს. თან, თუ მეორე დიდი ვარსკვლავიც მხარში ამოუდგა... ახალი სტადიონი, ახალი ვარსკვლავი, ახალი ძალა... ყველაფერი ახალია. ანრის არ უნდა მოუნდეს სადმე წასვლა.

ასეთია ეს ამბავი, რომელიც, თავის მხრივ კიდევ ერთ ამბავს ჰგავს. მაიკლ ოუენს გული „ლივერპულისკენ“ მიუწევს და გოლვალვიანობით შეშფოთებული რაფა ბენიტესიც ხმადაბალ თანხმობას ამბობს... ესეც ვარაუდია, ოღონდ სტივენ ჯერარდის გამოთქმული. სტივენ ჯერარდი კი აცხადებს: „იმდენად მაინც ვიცნობ მაიკლს, რომ მისი გულში ნადები ვიცოდე.“

თუმც ეს სხვა ისტორიაა და სხვა დროს იყოს.

ირაკლი ბამყრელიძე
ლონდონიდან

ოპერაციაR

ოპერაცია „გადაარჩინეთ რონალდო“ უკვე დაიწყო. ბრაზილიის ერთ-ერთი უპოპულარულესი კლუბი „ფლამენგო“ მადრიდის „რეალიდან“ რონალდოს წაყვანას ცდილობს.

კლებერ ლეიტემ, „ფლამენგოს“ ვიცე-პრეზიდენტმა, განაცხადა, რომ რონალდოს სავარაუდო ხელშეკრულების შესახებ თითქმის ყოველდღე ესაუბრება. თუ ბრაზილიელები თანამემამულესთან კონტრაქტს გააფორმებენ, „კიჭა“ სამშობლოში შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დაბრუნდეს.

„ფლამენგოში რონალდოს თავადაც უნდა თამაში და ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი კლუბის ოცნებაცაა. საერთოდ კი ვინც გუნდში რონალდოსდარი ფეხბურთელის მოყვანაზე უარს იტყვის, გიჟია“ — უთხრა სეუ ლეიტემ ბრაზილიელ ჟურნალისტებს. — რონი ახლა „რეალში“ ყოფნით ბედნიერი არ არის, ხოლო მისი დონის ვარსკვლავის დაუფასებლობა არ შეიძლება. ვფიქრობ, რიოში და „ფლამენგოში“ რონალდო მადრიდზე გაცილებით უკეთ იგრძნობს თავს“. კლებერ ლეიტეს აზრით, „სანტიაგო ბერნაბეუს“ მოიერიშემ „რეალს“ „ფლამენგოში“ გადასვლის სურვილის შესახებ სასწრაფოდ უნდა განუცხადოს. თუმც რონის „ფლამენგოში“ მადის მოთოკვა მოუწევს. ბრაზილიელები თავდამსხმელს „რეალის“ მსგავსი ხელფასით ვერ გაანებივრებენ. „მან უკვე მითხრა, რომ „რეალთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმება არ უნდა. ეს კი ჩვენთვის წინგადადგმული ნაბიჯია.“ — ახარა რიოს კლუბის ჩინოსანმა გულშემატკივრებს. „კიჭას“ სამშობლოში დაბრუნებას ფირმა „ნაიკი“ („ფლამენგოს“ სპონსორი) ერთ-ერთი მსხვილი ესპანური ბანკი და გამაგრილებელი სასმელის მავანი კომპანია აგვარებენ.

სეუ კლებერ ლეიტესთან სატელეფონო საუბარი რონალდომაც დაადასტურა. „რეალის“ მეგოლეს „ფლამენგოს“ ვიცე-პრეზიდენტი მოსკოვში ყოფნისას დაუკავშირდა, როცა ბრაზილიის ნაკრები რუსეთში იყო ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. „კიჭა“ კი, „ფლამენგოს“ აღიარებული ინჩასია, ოღონდ ბრაზილიაში დღეს დაბრუნდეს თუ მუნდიალის მერე, ჯერ ვერ გადაუწყვეტია.

ლადო ხომერიკი

კარლიტოს გზა

ჩემპიონთა თასი ბევრ მწვრთნელს და კიდევ უფრო მეტ ფეხბურთელს მოუგია, მაგრამ ისეთი ადამიანები, ეს ჯილდო მოედანზეც რომ მოეგოთ და მოედნის კიდეზეც, სულ ოთხნი არიან: მიგელ მუნიოსი, ჯოვანი ტრაპატონი, იოჰან კრუიფი და კარლო ანჩელოტი. ამ წერილში ბოლოზე შევჩერდეთ



2003 ᲬᲔᲚᲡ ანჩელოტი ცნობილმა ინგლისურმა ჟურნალმა „უორლდ სოკერმა" მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. იმავე წელიწადს „მილანის" თავკაცი დააფასეს იტალიაშიც, „ოქროს სკამით" დააჯილდოვეს. 14-წლიან სამწვრთნელო კარიერაში კარლიტოს დიდი პრიზები აქვს მოგებული, მაგრამ ამის მიუხედავად, დღე ისე არ გავა, „შავწითლების" გუნდიდან მის წასვლაზე ვინმემ რამე არ თქვას. მიზეზად ხან ანდრეი შევჩენკოსთან კონფლიქტს ასახელებენ, ხან სილვიო ბერლუსკონისთან ცუდ ურთიერთობას, ხან დაცვის გადამეტებულ სიყვარულს და ხანაც ბერლუსკონის სურვილს, თავისი გუნდი ყოფილ ფავორიტთაგან ერთ-ერთს, მარკო ვან ბასტენს ან ფრანკ რაიკარდს ჩააბაროს.

ჭორები განსაკუთრებით შარშანდელი მაისის შემდეგ გაძლიერდა. რა მოხდა შარშან მაისში? სკუდეტოს გარეშე დარჩენილმა „მილანმა" ჩემპიონთა თასის ფინალში „ლივერპულთან" პირველი ტაიმი 3:0 მოიგო, მეორე კი 0:3 წააგო და პენალტებში დამარცხდა. ერთი სიტყვით, 2004-05 წლების სეზონი „როსონერისთვის" უტიტულო გამოდგა.

ფაქტ-ფაილი

კარლო ანჩელოტი დაიბადა 1959 წლის 10 ივნისს ქალაქ რეჯოლოში.

თამაშობდა ნახევარმცველად „პარმაში", „რომასა" და „მილანში". სულ სერია A-ში ჩაატარა 338 მატჩი და გაიტანა 35 გოლი. იტალიის ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 26 მატჩი და გაიტანა 1 გოლი.

ფეხბურთელობისას გახდა 1989 და 1990 წლების ჩემპიონთა თასის მფლობელი. იმავე წლებში მოიგო ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი. 1983, 1988 და 1992 წლებში გახდა იტალიის ჩემპიონი. სამჯერვე მოიგო ქვეყნის თასი.

კარიერის დამთავრების შემდეგ დაიწყო მწვრთნელობა. 1992-1995 წლებში გახლდათ იტალიის ნაკრების მეორე მწვრთნელი, შემდეგ სეზონში თავკაცობდა „რეჯანას", 1996-98 წლებში „პარმას", 1998-2001 წლებში „იუვენტუსს", მას შემდეგ კი „მილანშია".

როგორც მწვრთნელმა 2003 წელს მოიგო ჩემპიონთა თასი, გარდა ამისა გახდა იტალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

ჩანიშნული ფრაზები

„შევჩენკოს ხშირად ვსაყვედურობ, რომ საგოლე სიტუაციაში კარში დარტყმის ნაცვლად პასს აწვდის. თუ კაცი მეგოლედ ხარ გაჩენილი, შენი ალტრუიზმით თავს და თანაგუნდელებს მხოლოდ ავნებ".

„არასდროს მიფიქრია, „მილანიდან" წასვლის შემდეგ რას ვიზამ, მუდამ ამ გუნდში კი, აშკარაა, ვერ დავრჩები".

„ფეხბურთში ახალს ვერაფერს მოიგონებ. ყველაფერი, რასაც მოიფიქრებ, უკვე იყო".

„წაგების დასავიწყებლად ყველაზე კარგი შემდეგი თამაშის მოგებაა".

„მწვრთნელი, რომელსაც გუნდში ნესტა, მალდინი და სტამი ჰყავს, უძილობისგან დაცულია".

„მწვრთნელის სტრატეგია მარტივია. ის მუდამ უნდა ცდილობდეს, რომ მისმა გუნდმა შემდეგი მატჩი წინაზე უკეთ ითამაშოს".

„ფეხბურთელებთან კონფლიქტი არასდროს მაქვს, მე მათთან ვკამათობ, კამათი კი ურთიერთობის აუცილებელი შემადგენელია".

„იმედი მაქვს, „მილანის" ხელმძღვანელებს ეყოფათ გონიერება და დევიდ ბექემს არასდროს იყიდიან. ის და მისი ვიქტორია ჩვენს გუნდს შოუს დასად გადააქცევდნენ".

„დღევანდელ „ბარსელონაში" ბევრი დიდი ვარსკვლავი თამაშობს, მაგრამ ჩემი ნება რომ იყოს, „მილანში" მათგან მხოლოდ ერთს მოვიწვევდი... რაიკარდს".

ღია ჰირები

რაიკარდისა და ანჩელოტის წყვილი არიგო საკის შექმნილ დიდ „მილანში" შეუცვლელი გახლდათ. ცენტრალურ ნახევარმცველთა ამ დუეტს განა მხლოდ შავი სამუშაო ევალებოდა, ისინი შეტევებსაც იწყებდნენ. ნუ, ის, რომ რაიკარდის ფონზე ანჩელოტი მართლაც უფრო შავ მუშად ჩანდა, გასაკვირი არ არის, მაგრამ მაგას რომ მივყვეთ, შორს წავალთ, რადგან იმ გუნდში დონადონი, გულიტი და ვან ბასტენი თამაშობდნენ.

ხოლო ანჩელოტის „მილანში" მოხვედრა თავიდან ბოლომდე საკის დამსახურებაა. მწვრთნელი, არც მეტი, არც ნაკლები, სამი საათი უმტკიცებდა სილვიო ბერლუსკონის, რომ „რომას" 27 წლის ნახევარმცველი შესაძენი იყო. საკი კარლიტოს „პარმადან" ანუ ყმაწვილკაცობიდან იცნობდა და იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ „რომაში" მას ფრთაზე აწვალებდნენ. დიახ, შუა ნახევარმცველად დაბადებულს „ჯალოროსი" განზე არბენინებდა, რადგან შუაში ფალკაო გამოდიოდა.

და როდესაც საკი „მილანიდან" წავიდა, ანჩელოტიც მალე მიჰყვა — სულ დაანება თამაშს თავი. ის უკვე 33 წლისა გახლდათ და ტიტულებით მდიდარს ნატკენი ფეხის ხშირად წვალება აღარ ულირდა. კარლიტო მიხვდა, რომ ასე საყვარელ საქმეს შეიძულებდა და ეს არ უნდოდა.

და მაინც, რა თვისებით იყო ანჩელოტი ფეხბურთელი ცნობილი? იმით, რომ ერთხელ მის მიერ მოგებული ორთაბრძოლები დათვალეს, პროცენტი გამოიყვანეს და ჰირები ღია დარჩათ.

მწვრთნელი 1

ანჩელოტი, როგორც ნიჭიერი მწვრთნელი, ქვეყანამ „პარმაში" აღმოაჩინა, ხოლო თავად ანჩელოტიმ იქვე აღმოაჩინა ჯანლუიჯი ბუფონი და ფაბიო კანავარო. მისი „პარმაში" ყოფნის პერიოდში სერია A-ს შეემატნენ ფრანგი ლილიან ტურამი და არგენტინელი ერნან კრესპო, მაგრამ ჰეფი ენდი მაინც არ შედგა.

„უცნაური რამ მოხდა, საკუთარ გუნდს ვეღარ ვცნობდი. ფეხბურთელები ორჯერ ნელა აკეთებდნენ იმას, რაც მანამდე იოლად გამოსდიოდათ. უკვე ვეღარაფერს ვხვდებოდი და ბოლოს მივხვდი, რომ ეს ჩემი ბრალი იყო, სეზონის წინ მომზადების დროს მქონდა დაშვებული შეცდომა. სინდისმა გადადგომა მიკარნახა".

უმუშევრობა მხოლოდ ერთ წელიწადს გაგრძელდა. ეს ის პერიოდია, როდესაც „იუვენტუსიდან" მარჩელო ლიპი წავიდა და ანჩელოტი „ბებერმა ქალბატონმა" მიიწვია, „იუვე" კი მხოლოდ განსაკუთრებულებს იწვევს.

მაგრამ რაღაც არ გამოვიდა... ორ სეზონში ორი მეორე ადგილი და ჩავარდნა ევროთასზე ანუ ტურინელები მთელი ორი წლის მანძილზე ტიტულის გარეშე დარჩნენ, რაც მათთვის დიდი ტრაგედიაა.

რატომ მოხდა ასე? ამბობენ, რომ ამაში თავისი წვლილი „შავ-თეთრების" ქომაგებმაც შეიტანეს, რომელთაც „მილანის" ყოფილ ნახევარმცველს ის მძაფრი გამონათქვამები ამოუქექეს, ფეხბურთელობისას „იუვეზე" რომ ჰქონდა ნათქვამი. ტრიბუნაზე მუდმივად იყო პლაკატი: „ღორი მწვრთნელი ვერ იქნება". კიდევ საინტერესო იყო, რომ ანჩელოტიმ ამ ხალხის გულის მოსაგებად ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, მე ყოველთვის იმ გუნდს ვქომაგობ, რომელშიც ვმუშაობ, რამაც ახლა „მილანის" გულშემატკივრები შეურაცხყო. მართალია ეს იყო მიზეზი [illegible] მხოლოდ მიზეზის [illegible] ვერ გეტყვით, მაგრამ ნახევარი წლით კარლიტო ისევ უმუშევარი შეიქნა.

მწვრთნელი 2

უმუშევარს „პარმამ" და „მილანმა" თითქმის ერთდროულად შესთავაზეს სამუშაო, ოღონდ სიტყვა „თითქმის" შემთხვევით არ გვიხსენებია. ჯერ იყო „პარმა" და კარლიტოს წინასწარი თანხმობა, რამაც სილვიო ბერლუსკონის ყურამდე მიაღწია. ბერლუსკონი მიხვდა, რომ ზოზინის დრო აღარ იყო, მყისვე მოხსნა ფატიჰ თერიმი და ანჩელოტის დაუძახა. ვიღას ახსოვდა მერე „პარმა"...

ანჩელოტის ხელში „მილანი" იტალიის ჩემპიონი რომ გახდა და 2003 წელს ჩემპიონთა თასიც მოიგო, ყველამ ვიცით და ამაზე ნულარ შევჩერდებით. ისა ვთქვათ, კიდევ რას უთვლიან მწვრთნელს დიდ წარმატებად: ანდრეი შევჩენკოს ვარსკვლავად ჩამოყალიბებას, არასტაბილური ბრაზილიელი ბიჭის, დიდას სტაბილურ მეკარედ ქცევას და რაც მთავარია, ანდრეა პირლოს აღმოჩენას.

„ამ ბიჭმა ჩემი თავი მომაგონა, იგი საკუთარ ახალგაზრდობას მივაზომე და მივხვდი, როგორ უნდა გამხდარიყო დიდი ფეხბურთელი. მისი დარწმუნება კი ძნელი გამოდგა. პირლოს გამთამაშებლობის შემდეგ საყრდენი ნახევარმცველის როლი მოსაწყენად და შემოქმედებას მოკლებულად ეჩვენებოდა. საბედნიეროდ, ჩემი სიმართლე დავუმტკიცე".

მისი პრინციპები

„მწვრთნელი გუნდში პატივცემულ, გამოცდილ ფეხბურთელებს უნდა ეყრდნობოდეს. მას თავისი იდეების მხარდამჭერები სჭირდება. „მილანში" ასეთი პაოლო მალდინია, თუმცა ამას მისი ასაკის გამო არ ვამბობ, ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს".

„ყველა ფეხბურთელს თამაშისთვის მზადებაზე თავისი შეხედულება აქვს და თუ ის გუნდის საერთო პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, ეს რატომაც არ უნდა გამოვიყენო?"

„თავდამსხმელად ან მცველად არავინ იბადება. მწვრთნელის ვალია, თითოეული, მოთამაშე თავისთვის საჭირო ამპლუაში დაინახოს იმაზე ადრე, სანამ საკუთრივ ფეხბურთელი მიხვდება".

„მწვრთნელის მთავარი კოზირი დიქტატორული ტონი და ხელფასების დაქვითვა კი არა, ინტუიციაა. ტაქტიკის წესებს ისწავლი, ინტუიცია კი ან გაქვს, ან არა".

დამატებითი ცნობები

თუ გინდათ, მშვიდი და ზრდილობიანი კარლო ანჩელოტი გააბრაზოთ, უთხარით, რომ მსუქანია.

ამდენი ტიტულის მიუხედავად, ანჩელოტის ხშირად დღესაც მარცხიანს ეძახიან.

ანჩელოტის ორი შვილი ჰყავს, 21 წლის კატია და 16 წლის დავიდ. კატია ფსიქოლოგია და თუ არ აჭარბებენ, 2003 წლის ფინალში მამას პროფესიულ რჩევებს აძლევდა, მაგრამ სტადიონზე საქმე პენალტებზე რომ მიდგა, ველარ გაუძლო და გარეთ გავიდა.

„ვინ მოიგო, მაშინ გავიგე, როდესაც „ოლდ ტრეფორდიდან" გამომავალი „იუვეს" ცხვირჩამოშვებული ქომაგები დავინახე" — იხსენებს კატია.

უეფას თასი 2005-06. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

ტრიბუნა ტრიბუნალისგან

ფერნანდესს მარსელს შორიდან დაანახვებენ

დღეს		
ჰამბურგი (გერმანია)	—	რაპიდი (რუმინეთი) (0:2)
რომა (იტალია)	—	მიდლსბრო (ინგლისი) (0:1)
სევილია (ესპანეთი)	—	ლილი (საფრანგეთი) (0:1)
ხვალ		
შალკე (გერმანია)	—	პალერმო (იტალია) (0:1)
სტრასბური (საფრანგეთი)	—	ბაზელი (შვეიცარია) (0:2)
ბეტისი (ესპანეთი)	—	სტიაუა (რუმინეთი) (0:0)
ლევსკი (ბულგარეთი)	—	უდინეზე (იტალია) (0:0)
ზენიტი (რუსეთი)	—	მარსელი (საფრანგეთი) (1:0)

ფაბიენ ბარტეზი პეტერბურგში ვერ იხტუნავებს

გელზენკირხენის „შალკე" მერვედფინალს შემორჩენილთაგან ერთადერთი კლუბია, რომელსაც უეფას თასი მოუგია. ლევან კობიაშვილის გუნდი ახალი მთავარი მწვრთნელის მირკო სლომკას ხელში კარგად გამოიყურება. ბუნდესლიგის ბოლო 7 მატჩიდან „შალკემ" 5 მოიგო და 2 ფრედ ითამაშა, რისი წყალობითაც მესამე ადგილზე აცოცდა. გელზენკირხენელებმა წლეულს მხოლოდ ერთხელ წააგეს — „პალერმოსთან" (0:1) და ახლა საპასუხო მატჩის ეიმედებათ.

„შალკეს" ლაზარეთში ერთბაშად 7 მოთამაშეა — ლინკოლნი, კევინ კურანი, მარსელო ბორდონი, ჰამიტ ალტინტოპი, ტომაშ ვალდოხი, მარკო ვან ჰოოგდალემი და კრისტიან პანდერი. პალერმოელთა რიგებში საეჭვოა გუნდის კაპიტან ეუჯენიო კორინისა და მარცხენა მცველ ფაბიო გროსოს თამაში.

მეორე გერმანული გუნდი „ჰამბურგი" უფრო რთული ამოცანის წინაშეა. თომას დოლის შეგირდებს ბუქარესტის „რაპიდთან" ორბურთიანი სხვაობის გაბათილება სჭირდებათ. მათ გასულ უქმეებზე სწორედ იმ ანგარიშით (3:0) მოუგეს „ლაუტერნს", რომელიც რუმინელებთანაც ხელს აძლევთ.

„რაპიდთან" მარცხმა არ გაგვტეხა და „ლაუტერნთან" ბრწყინვალედ ვითამაშეთ. ყველამ დაინახა, რომ ბუქარესტელებთან გამარჯვების შანსი გვაქვს და მოგებას ველოდებით" — თქვა ჰამბურგელთა კაპიტანმა დანიელ ვან ბუიტენმა.

თომას დოლი ვერ დაიხმარს ტრავმირებულ შტეფან ბაინლიხსა და დისკვალიფიცირებულ ნაიჯელ დე იონგს. რუმინელებს კი ვასილე მაფტეი, არტავაზ კარამიანი, დანიელ პანჩუ, ემილ დიჩა და მარიუს მალდარასანუ დააკლდებათ.

„ხუთი გამორჩეული ფეხბურთელი გვაკლია, მაგრამ მათი შემცვლელები გვყავს. მეოთხედფინალში გასვლის ჩინებული შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. პირველი მატჩის მსგავსად, ჰამბურგში აგრესიულ და შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ" — განაცხადა „რაპიდის" თავკაცმა რაზვან ლუჩესკუმ.

ორმატჩიანი ბრძოლის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა ძალიან გაუჭირდება „მარსელს". „ველოდრომზე" წაგების (0:1) შემდეგ ჟან ფერნანდესის გუნდი ორი ლიდერის, ფაბიენ ბარტეზისა და ფრანკ რიბერის გარეშე სტუმრობს სანკტ პეტერბურგს. „მარსელის" მწვრთნელი ჟან ფერნანდესი დისკვალიფიცირებულია და გუნდს ტრიბუნიდან უქომაგებს. ბარტეზს ტრავმა აქვს, ხოლო რიბერი დასჯილია. სხვათა შორის, რიბერიმ გუნდთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააზანგრძლივა. ვლასტიმილ პეტრჟელას „ზენიტი" კი მეტოქეს ფაქტობრივად უძლიერესი შემადგენლობით ხვდება.

იტალიურმა „რომამ" გასულ უქმეებზე სერია A-ში წაუგებელი სერია შეწყვიტა. დედაქალაქელები „ასკოლისთან" დამარცხდნენ (2:3). მიუხედავად ამისა, ლუჩანო სპალეტი ოპტიმისტურ განწყობაზეა. თუმცა მის გუნდს „მიდლსბროსთან" გამკლავება, შეიძლება ითქვას, უთავდამსხმელოდ მოუწევს. ფრანჩესკო ტოტის, შაბანი ნონდასა და ვინჩენცო მონტელას ტრავმების ამბავი უკვე კარგად მოგეხსენებათ. დაშავებულები ინგლისელებსაც ჰყავთ, მაგრამ ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რომ „მიდლსბრო" „გლადიატორებთან" მატჩს თითქმის უდანაკარგოდ შეხვდეს.

„სევილიას" მთავარ მწვრთნელს ხუანდე რამოსს იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები, პირველი მატჩის მსგავსად, „ლილთან" საგოლე შანსებს არ გაანიავებენ და სასურველი შედეგის მიღწევას შეძლებენ. ესპანურ კლუბს ამის გაკეთება ძირითადი მეკარის, ანტონიო ნოტარიოსა და იტალიელი ენცო მარესკას გარეშე მოუწევს. ნოტარიოს ნაცვლად კარში არანაკლებ გამოცდილი ანდრეს პალოპი ჩადგება. რაც შეეხება „ლილს", დანამდვილებით ცნობილია, რომ სლოვენიელი პლეიმეიკერი მილენკო აჩიმოვიჩი მინდორზე ვერ გავა. ხოლო პიტერ ოდემვინგის, მეტიუ დებიუშისა და გრეგორი ტაფორეს თამაში სათუოა.

უფრო უკეთეს ვითარებაშია მეორე სევილიური კლუბი „ბეტისი". ბუქარესტული უგოლო ფრის შემდეგ ესპანელებს წყვილის ფავორიტად მიიჩნევენ, თუმცა ლორენს სერა ფერერის გუნდი ბოლო დროს არადამაჯერებლად გამოიყურება და პრიმერადივიზიონიდან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია. რუმინელთა ბანაკში კი დიდი მონდომებით ემზადებიან და საბრძოლო განწყობაა. „არ მესმის, რატომ იყო ყველა უკმაყოფილო პირველი მატჩის შემდეგ. ჩვენ არ წაგვიგია და მეოთხედფინალში გასვლის შანსი კიდევ გვაქვს" — აღნიშნა „სტიაუას" მწვრთნელმა კოზმინ ოლარიუმ.

სოფიაში მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს კრიზისში მყოფ „უდინეზეს". „ფრიულიზე" ნათამაშები 0:0-ის შემდეგ მეოთხედფინალში გასვლის შანსები ალბათ ბულგარელებს უფრო მეტი აქვთ. თუმცა იტალიელთა მწვრთნელები ლორის დომენისინი და ნესტორ სენსინი იმედიანად არიან, მაგრამ მაინც სერია A-ზე ფიქრობენ.

ნესტორ სენსინი: „შევეცდებით, სოფიაში სასურველ შედეგს მივაღწიოთ, მაგრამ მიმდინარე სეზონში ჩვენი მიზანი სერია A-ში ადგილის შენარჩუნებაა. შესაბამისად, უეფას თასიდან გამოვარდნით ტრაგედიას არ შევქმნით".

შვეიცარულ „ბაზელს" საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერის, „სტრასბურის" გზიდან ჩამოცილება არ უნდა გაუჭირდეს. ძნელად სავარაუდოა, სტრასბურელებმა ორბურთიანი სხვაობა გაქვითონ და მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზონ.

გიორგი კაკაბაძე

მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელის ოცნება

ჟოზე მაურინიუ მიხაელ ბალაკს დაჟინებით ეძახება „ჩელსიში" და ისეთ მომავალს უხატავს, დიდი შანსია, დაიყოლიოს. ბალაკის მომავალ კლუბზე საუბრით, ცხელ-ცხელი ჭორების მოსმენით, ალბათ ყველა დაიღალა. ვინძლო ამ ამბავზე საუბარი ზაფხულამდე მოგვიხდეს, რადგანაც 29 წლის გერმანელი ჯერ კიდევ ფიქრობს. ასარჩევი, იცოცხლე, ბევრია — „მანჩესტერ იუნაიტედი", „რეალი", „ბარსელონა", „ინტერი", „იუვენტუსი" და უკვე ხსენებული „ჩელსი". ყველა ამ გრანდის სახელს ბალაკი უკვე მრავალჯერ დაუკავშირეს.

„ბალაკი, სულ ცოტა, 25 მილიონი ევრო ღირს. მე კი იგი აუცილებლად მჭირდება. თავად ბალაკი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს და მას პატივს ვცემ. ასე რომ, ველოდებით" — განაცხადა მაურინიუმ.

შეგახსენებთ, რომ იანვარში ბალაკმა ახალ, ოთხწლიან კონტრაქტზე უთხრა უარი მიუნხენელებს. ზაფხულში იგი თავისუფალი აგენტი გახდება და სხვა კლუბში გადავა. „ჩელსი" მას კვირაში 177,600 ევროს სთავაზობს. რომან აბრამოვიჩის სქელი ჯიბით შეგულიანებულ მაურინიუს, ცხადია, ფული არ ადარდებს და ბალაკი-ლამპარდის საოცნებო წყვილზე საუბრობს.

„ბალაკი ფიზიკურად ძლიერია და თანაც ბევრი გოლი გააქვს. ასეთ მაღალ დონეზე მოთამაშე ნახევარმცველი მის გარდა მხოლოდ ფრენკ ლამპარდია. ერთად ისინი ევროპაში საოცნებო და უძლიერეს წყვილს შექმნიან. მიხაელი ჭკვიანი და ტაქტიკურად ძლიერია, იგი თამაშს აკონტროლებს. არა აქვს მნიშვნელობა, როგორი სქემით ვითამაშებთ, ბალაკი ნებისმიერს მოერგება. ჩემთვის იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა" — დასძინა პორტუგალიელმა.

ჟოზე მაურინიუ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ გასული წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარა. მიუხედავად ამისა მაურინიუ თავს პირველ კაცად არ თვლის: „2005-ში პრემიერლიგა და ინგლისის ლიგის თასი მოვიგეთ. ჩემპიონთა თასზე კი ნახევარფინალში გავედით. ამით ბედნიერი ვარ, მაგრამ მეტი ამბიცია მაქვს და უფრო ბევრის მიღწევა მსურს. ამიტომ ჯერ არ ვთვლი თავს მსოფლიოში საუკეთესოდ, თუმც აღიარება სასიამოვნოა".

გიორგი კაკაბაძე

ჰიუზი კმაყოფილია, რომ ბლექბერნი კმაყოფილია

მიმდინარე პრემიერლიგის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი „ბლექბერნია". „ივუდ პარკის" ბინადრები მშვენიერ და, რაც მთავარია, შედეგიან ფეხბურთს თამაშობენ. შესაბამისად, გუნდი, რომელსაც ბევრი გავარდნას უწინასწარმეტყველებდა, ლიდერთა შორისაა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსიც აქვს.

„ბლექბერნის" წარმატების მთავარი საიდუმლო, ნიჭიერი ახალგაზრდებისა და გამოცდილი ფეხბურთელების შეკვრის გარდა, მის მთავარ მწვრთნელშია. მარკ ჰიუზი არ შემცდარა, როდესაც უელსის ნაკრების თავკაცობას შეელია და „ბლექბერნის" წინადადებას დაჰყაბულდა. ახლა კი კლუბს მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს.

მარკ ჰიუზი: „ძალიან სასიამოვნოა, როდესაც საქმეს გიქებენ და შენი წასვლა არ უნდათ. მიხარია, რომ კლუბს ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივება უნდა. მოლაპარაკებებს ალბათ მალე დავიწყებთ. ახლა მთავარია, სეზონი წარმატებით ჩავამთავროთ. არ შეიძლება, ამ მოკლე დროში გაკეთებული დიდი საქმე და წარმატება წყალში ჩაიყაროს".

კოკი კანდელაკი

მეფის ქალაქი ევროპის წინაალმდეგ

მანუელ პელეგრინის „ვილიარეალმა“ წლეულს მთელი დიდსაფეხბურთო ევროპა განაცვიფრა — ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტმა „ყვითლებმა“ ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალს უწიეს. „ლიგის ამ ეტაპზე დამსახურებულად გავედით. ვთვლი, რომ მეტიც შეგვიძლია და ევროპულ გრანდებსაც „ვილიარეალთან“ ერთობ გაუჭირდებათ — განაცხადა ჩილელმა პელეგრინიმ „მარკასთან“ ამასწინანდელ ინტერვიუში. სანამ ოკეანისგაღმელ მწვრთნელს და მის ყოჩაღ შეგირდებს მავანი გრანდი გაუმწარებიათ, ჩვენ კასტელონური პატარა ქალაქის და ერთ დროს ასევე პატარა გუნდის ისტორიას გადავხედოთ

ქალაქი — ვილიარეალი
ქვეყანა — ესპანეთი
ავტონომია — ვალენსია
პროვინცია — კასტელონი
მოსახლეობა — 46 696
ენა — ვალენსიური

მეფის ქალაქი

ვილიარეალი 1274 წელს არაონის მეფე ხაიმე პირველმა დაარსა (აქედან სახელიც — VILA-REAL, ანუ მეფის ქალაქი). იმ პერიოდში კასტილიელები, არაგონელები, კატალონიელები და სხვები, ანუ ხალხი, რომლებსაც დღეს ესპანელების სახელით ვიცნობთ, მუსლიმ დამპყრობლებს, მავრებს ებრძოდნენ და მეფის ქალაქმაც გამთავისუფლებელ ომში, რეკონკისტაში, თავისი წილი სისხლი გაიღო. XIV საუკუნეში პატარა დასახლება მხრეებში გაიშალა, პოლიტიკური წონა მოემატა და ვილიარეალის პატივცემული დეპუტატებიც ვალენსიურ კორტესებში (იგივე პარლამენტში) რეგიონული საქმეების გარჩევისას ფრიად აქტიურობდნენ. XVI საუკუნეში იქაურ როსარიოს მონასტერში წმინდა მამა პასკუალ ბაილონი მიიცვალა, რამაც ვილიარეალში კათოლიკე მლოცველთა დიდი პილიგრიმობა და ხელმწიფე კარლოს II-ის საგანგებო ბრძანება გამოიწვია — მეფემ როსარიოს სავანე ხელახლა ააშენებინა, ხოლო წმინდა პასკუალ ბაილონს დღეს ქალაქის მთავარ მფარველ წმინდანად თვლიან. XVIII საუკუნეში ვილიარეალი საფეიქრო მრეწველობით იყო ცნობილი, ხოლო XIX-ის მეორე ნახევარში ქალაქის მამებმა ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაზი და მადლიანი ჰავის წყალობით ისარგებლეს და ფორთოხლის პლანტაციები გააშენეს. არც უნანიათ, ციტრუსებმა მეფის ქალაქს საკმაო მოგება მოუტანა. მეოცე საუკუნეში, სამოქალაქო ომის მერე კი აქ კერამიკული ქარხნები ააშენეს და ეს დღესაც ქალაქის შემოსავლის მთავარი წყაროა.

შავ-თეთრი წლები და სამოცპესეტიანი მინდორი

საფეხბურთო კლუბ „ვილიარეალის“ დაბადების თარიღად 1923 წლის 10 მარტი ითვლება. მაშინ კასტელონში და ვალენსიაში ზოგადად სპორტს პატივს კი სცემდნენ, ოღონდ ფეხბურთი განსაკუთრებით უყვარდათ და კლუბის დაარსების ოფიციალურ დოკუმენტშიც ასე წერია: „გუნდის შექმნით ჩვენ სპორტის ყველა სახეობა უნდა წავახალისოთ, განსაკუთრებით კი ფეხბურთი...“

„ვილიარეალის“ პირველი პრეზიდენტი გახლდათ ფარმაცევტი და ფეხბურთზე შეყვარებული კაცი, ხოსე კალდუჩ ალბელა, რომელმაც მდივნად ხოსე მარტინეს აგილარი (ბანკის კლერკი), კლუბის ფინანსურ დირექტორად კარლოს კალატაიუდ ხორდა (ფოსტის მოხელე) და სხვა ენთუზიასტების მთელი ჯგუფი შეკრიბა. ამ სენიორებმა პირველი კრება 1923 წლის 25 მაისს გამართეს და გუნდისთვის საფეხბურთო არენის დაქირავება გადაწყვიტეს. სტადიონი „ვილეარელმა“ სულ... 60 პესეტად იქირავა... რა თქმა უნდა, მას შემდეგ მომავალ „ელ მადრიგალზე“ არაერთი რეკონსტრუქცია ჩატარდა, თუმც საბურთაო ადგილი ძირითადად იგივეა და დღეს რომ საჩემპიონთალიგო ომები ბობოქრობს, იმ არენაზე 83 წლის წინ ქალებს და ბავშვებს ალმასორასა და ონდას უბნების თამაშებზე უფასოდ უშვებდნენ. „ვილიარეალის“ საფეხბურთო ფორმა 1946 წლამდე შავთეთრი იყო, მერე ღალანა ყვითელი გახდა.

პირველი ნაბიჯები: დრო, როცა ფეხბურთის ნაკვალევს ომი შლის

საერთოესპანურ საფეხბურთო სივრცეს „ვილიამ“ პირველად 1934-35 წლების სეზონში მიუკაკუნა. კასტელონური გუნდი „კრტახენას“ შეერკინა რეგიონალლიგიდან სეგუნდა დივიზიონში გადასასვლელად (მაშინ ტერსერა და სეგუნდა B დივიზიონები არ იყო და რეგიონების პირველობიდან პირდაპირ უმაღლესი ლიგის წინა საფეხურზე, სეგუნდადივიზიონში გადადიოდნენ). „ვილიარეალმა“ იმ სეზონში წააგო, თუმცა მომავალ წელს რეგიონის ჩემპიონი გახდა და ესპანეთის სამოქალაქო ომი რომ არა, ნანატრ სეგუნდაშიც ითამაშებდა.

ყოფნა – არყოფნა

საერთოდ, სახელოვანი კლუბების ისტორიებში ომები თავისებურ, „წამახალისებელ“ როლს ასრულებენ ხოლმე მსოფლიო გრანდთა ქრონიკებში ხშირად ვხვდებით: „ომის დასრულებისთანავე ჩვენმა გუნდმა დიდ წარმატებებს მიაღწია“, ან უფრო შთამბეჭდავი — „ომის დასრულება და გუნდის ბრწყინვალე ეტაპის დაწყება ერთმანეთს ემთხვევა“. „ვილიარეალში“ კი მსგავსი არაფერი მომხდარა. კასტელონის პროვინციის ცენტრ გუნდი სამოქალაქო ომიდან 90-იან წლებამდე სულ დაბალ დივიზიონებში იყო გაჭედილი — სეგუნდა, სეგუნდა B, ტერსერადივიზიონი, ხშირად დამამცირებელი რეგიონალლიგაც კი... აქვე ვთქვათ, რომ სამოცპესეტიან სტადიონს „ელ მადრიგალი“ 1925 წელს ეწოდა, სწორედ რეგიონალლიგაში ცოდვილობის ჟამს...

ოქროსფეხა ალბერტო და დებიუტი ბერნაბეუზე

„ვილიარეალის“ ნაკლებადპრესტიჟულ ლიგებში ჩაწყალი 1997-98 წლების სეზონში დასრულდა. იმ დროს „ყვითლები“ სეგუნდაში მეოთხე ადგილზე გავიდნენ და პრიმერაში ასამაღლებლად ორმატჩიანი რაუნდის გამართვამ „კომპოსტელასთან“ მოუწიათ. „მადრიგალის“ შეხვედრა 0:0 დასრულდა, ხოლო სტუმრად კასტელონელებმა 1:1-ს მიაღწიეს და ბოლოს და ბოლოს პრიმერადივიზიონში გადავიდნენ. იმ ერთადერთი ოქროს გოლის ავტორი ალბერტო იყო, ხოლო უმაღლესში პირველი მატჩი „პირდაპირ“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის „რეალთან“ ჩაატარეს. იმავე სეზონში „ვილია“ პრიმერადან გავარდა, ოღონდ, ეტყობა, „ძალის მოსაკრებად“.

ნაკლებად, მაშინ ვინმეს ევარაუდა, რომ მალე „ვილიარეალი“ ესპანურ პრიმერას და ევროტურნირებს ასე შეაზანზარებდა.

დიდების წლები

1999-2000-ში, ანუ გავარდნიდან ერთი სეზონის მერე „ვილია“ პრიმერას დაუბრუნდა და „ელ მადრიგალის“ ინჩასთა სიხარულის ხანაც დაიწყო. „ყვითელმა წვალჭეშა ნავმა“ (ვრანდ-„ხომალდების“ აწიოკებისთვის შარაქვეს ასე) 2003-ის ზაფხულში ინტერტოტოს ფინალში „ჭერენკენი“ 2:1 დაამარცხა. 2003-2004-ის სეზონში უეჯას თასის ნახევარფინალს მიაღწია, თუმც მაშინ „ვილიას“ გზა თანამემამულემ და ძალმეამ მოიშეშმ, „ვალენსიამ“ გადაუღობა. 2004-05 წლების უეჯას თასზე კი „ყვითლები“ მეოთხედფინალამდე ჰოლანდიურ „ალკმარამდე“ მივიდნენ. საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში მანუელ პელეგრინის ბიჭებმა ჯგუფურ ეტაპზე სახელგანთქმული „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოისროლეს, მერვედფინალში კი „ვლაზგო რეინჯერსი“ დამარცხეს. ვინ იცის, კიდევ რა მოხდება. ცოცხა ქალაქის პატარა გუნდი ჯერაც იმ ჭკუაზეა, ვრანდებთან კბილებით რომ იომოს.

ლადო ხომერიკი

დავიდის გოლიათური ფასი

დავიდ ვილია „ვალენსიაში“ 2013 წლამდე დარჩება. გუშინ „მესტალიას“ კლუბის საუკეთესო მეგოლემ კონტრაქტი გაახანგრძლივა და „ღამურათა“ ინჩასებიც ვილიას ჩაუქი ბურთაობით კიდევ 7 წელიწადს დატკბებიან. „მოხარული ვარ, რომ „ვალენსიაში“ ვრჩები. ამ გუნდთან ბევრი რამ მაკავშირებს და ყოველთვის ვეცდები, გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლო“ — განუცხადა ვილიამ ჟურნალისტებს. ახალგაზრდა ასტურიელი მიიერიშე „მესტალიაზე“ „სარაგოსადან“ მივიდა და „ვალენსიას“ გულშემატკივრებს უმალ შეაყვარა თავი. აღრინდელი კონტრაქტით, ვილიას „ღამურებთან“ 2010 წლამდე უწევდა თანამშრომლობა, ხოლო ხელშეკრულების გაუქმება 60 მილიონი ევრო ღირდა. ახლა კი ასტურიელის მოსურნე უცხო კლუბმა 126 მილიონი ევრო უნდა გადიხადოს. შეგახსენებთ, რომ დავიდ ვილია 15 გოლით საამსეზონო ესპანური პრიმერას მეგოლეთა სიაში მეორეა.

ლადო ხომერიკი

იყიდება

1998 წელს გამოშვებული VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI
ძრავით, ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში
ჩამოყვანილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 90 08 68



მიეცი: ფანს ტრუსი, ფოტოს პრიზი

რას ვხედავთ ამ ფოტოზე: რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ მატჩის დასრულების მერე „ლაციოს“ ფეხბურთელი ფაბიო ლივერანი ქანდარაზე შემომსხდარ გულშემატკივრებს მაისურას და ტრუსს ესვრის.

ლივერანი და ფანები კმაყოფილები არიან. იმ მატჩში „ლაციომ“ „რომას“ 3:1 მოუგო და ეს ამბავი 2005 წლის 6 იანვრით თარიღდება.

და რატომ წარმოგიდგენთ ამ სურათს: პაოლო კოკოს ამ ფოტომ 2005 წლის საუკეთესო სპორტული ფოტოს სახელი მოიხვეჭა.

ახალი სპაგეტი: სპალეტი +

ძველი რომაელი ბრუნო კონტი, რომელიც ახლა „გლადიატორთა“ ტექნიკური დირექტორია, ირწმუნება, გუნდი მომავალ სეზონში კვლავ სკუდეტოსთვის იბრძოლებსო. როგორც ირკვევა, დედაქალაქელები ზაფხულში რამდენიმე ძვირადღირებული ტრანსფერის განხორციელებას აპირებენ.

„სატრანსფერო ბაზარზე საკმაო თანხას დავხარჯავთ, რათა სასურველი გუნდი შევკრათ და ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. ჩვენმა ფანებმა ეს დაიმსახურეს. გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელ ლუჩანო სპალეტისთან ერთად სერიოზული წარმატებების მიღწევა ნამდვილად შეგვიძლია“ — განაცხადა კონტიმ.

მოგეხსენებათ, ფილიპ მექსენთან წესების დარღვევით გაფორმებული კონტრაქტის გამო „რომა“ ერთწლიანი სატრანსფერო ემბარგოთი დასაჯა და ამ სეზონს, ფაქტობრივად, ახალი მოთამაშეების გარეშე ატარებს. მიუხედავად ამისა და სხვა პრობლემებისა, რომაელებმა ზედიზედ II მოგებით სერია A-ს რეკორდი დაამყარეს, მშვენივრადაც თამაშობენ და ოთხეულში მოსახვედრადაც იბრძვიან.

ბრუნო კონტი: „ფეხბურთელებს, რომლებიც გვაინტერესებს, უკვე ვუკავშირდებით და მოლაპარაკებებს ვიწყებთ. რამდენიმე სერიოზული სამიზნე გვყავს და ვიცი, რა უნდა გავაკეთოთ მათ ხელში ჩასაგდებად“.

„რომას“ პირველ რიგში „უდინეზეს“ ფორვარდ ვინჩენცო იაკინტას უკავშირებენ. ითქვა, რომ უდინელმა ანტონიო დი ნატალემაც გააფორმა წინასწარი კონტრაქტი „ვალოროსისთან“, მაგრამ კონტიმ ეს ინფორმაცია უარყო. „გლადიატორებში“ გადასვლის მთავარ კანდიდატებად იაკინტას გარდა მილანელი კრისტიან აბიატი და ინტერელი დავიდ პიზარო ივარაუდებიან.

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (აღმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXIX ტური

ამიენი 1:2 ვალანსიენი

ბასტია	29	15	8	6	40:22	53
სედანი	29	14	11	4	39:24	53
ვალანსიენი	29	13	11	5	37:24	50
ლორიანი	29	13	9	7	34:22	48
დიჟონი	29	11	11	7	32:25	44
კრეტეი	29	10	12	7	36:23	42
კაენი	29	10	12	7	36:28	42
ლე ავრი	29	9	13	7	36:31	40
გენიონი	29	9	13	7	21:26	40
გრენობლი	29	10	9	10	28:30	39
მონპელიე	29	10	9	10	26:29	39
რეიმსი	29	8	13	8	24:19	37
გენგამი	29	7	13	9	21:22	34
ისტრი	29	8	9	12	26:39	33
შატორუ	29	7	11	11	33:37	32
ბრესტი	29	7	11	11	27:33	32
ამიენი	29	6	13	10	26:31	31
კლერმონი	29	8	7	14	25:44	31
ლავალი	29	7	7	15	26:41	28
სეტე	29	3	8	18	22:45	17

იტალია

სერია B
XXXII ტური

ტრიესტინა 0:1 ჩეზენა

ატალანტა	32	19	5	8	49:34	62
კატანია	32	17	9	6	49:32	60
ჩეზენა	32	16	9	7	49:35	57
მანტოვა	32	15	11	6	39:28	56
ბრეშა	32	13	13	6	43:25	52
არეცო	32	13	12	7	35:24	51
ტორინო	32	12	13	7	35:27	49
კროტონე	32	13	7	12	36:33	46
პიაჩენცა	32	10	14	8	42:36	44
ვერონა	32	9	15	8	36:30	42
ბოლონია	32	10	12	10	34:36	42
პესკარა	32	11	9	12	30:35	42
მოდენა	32	9	14	9	41:34	41
რიმინი	32	9	12	11	37:39	39
ტრიესტინა	32	9	11	12	30:37	38
ვიჩენცა	32	10	7	15	30:40	37
ბარი	32	8	12	12	32:37	36
აველინო	32	7	11	14	34:52	32
ტერნანა	32	6	13	13	25:41	31
ალბინოლეფე	32	5	13	14	24:40	28
კრემონეზე	32	6	9	17	27:39	27
კატანზარო	32	6	7	19	19:42	25

ინგლისი

ჩემპიონატი
XXXVIII ტური

სტოკი 1:3 კრ. პალასი

რედინგი	38	27	9	2	80:24	90
შეფილდი	38	22	9	7	64:39	75
ლიდსი	37	20	10	7	53:31	70
უოტფორდი	38	19	12	7	67:43	69
კრ. პალასი	37	18	9	10	56:37	63
ვულვზი	38	14	16	8	42:30	58
პრესტონი	36	13	18	5	45:25	57
კარდიფი	38	15	10	13	51:45	55
ქოვენთრი	38	13	12	13	51:54	51
იფსვიჩი	37	13	12	12	43:49	51
ნორვიჩი	38	14	8	16	47:54	50
ლუთონი	38	14	6	18	57:60	48
პლიმუთი	38	11	14	13	33:40	47
ქუინზ პარკი	37	12	11	14	42:51	47
სტოკი	37	13	5	19	39:53	44
ლესტერი	38	10	13	15	43:51	43
ბარნლი	37	12	7	18	41:50	43
საუთჰემპტონი	37	8	18	11	35:38	42
დერბი	38	8	18	12	48:54	42
ჰალი	38	10	11	17	42:49	41
უენსდი	38	8	11	19	28:48	35
მილუოლი	38	6	15	17	29:51	33
ბრაიტონი	38	5	15	18	32:58	30
ქრიუ	37	5	13	19	42:76	28

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XXIII ტური

ლარისა 3:1 ქსანთი

ოლიმპიაკოსი	23	21	0	2	52:14	63
პანათინაიკოსი	23	16	3	4	39:17	51
აეკ	23	16	3	4	30:17	51
ირაკლისი	23	11	4	8	28:23	37
ქსანთი	23	10	5	8	25:22	35
ლარისა	23	9	6	8	28:28	33
ატრომიტოსი	23	9	5	9	25:24	32
პაოკ	23	8	7	8	31:24	31
ეგალეო	23	7	8	8	17:22	29
კალამარია	23	7	7	9	24:29	28
იონიკოსი	23	6	9	8	29:32	27
ლევადიაკოსი	23	5	6	12	15:26	21
ოფი	23	4	8	11	14:28	20
პანიონიოსი	23	5	4	14	21:40	19
კალითეა	23	3	7	13	20:35	16
აკრატიტოსი	23	4	4	15	16:33	16

პორტუგალია

სუპერლიგა. XXVI ტური

ბელენენსეში 2:0 ბრაგა

1:0 სანდრო (16), 2:0 მეიონგი (51)

პორტუ	26	17	6	3	40:14	57
სპორტინგი	26	17	4	5	42:22	55
ბენფიკა	26	15	5	6	40:22	50
ბრაგა	26	14	6	6	29:15	48
ბოავიშტა	26	12	9	5	34:21	45
ნასიონალი	26	12	7	7	31:23	43
სეტუბალი	26	12	3	11	21:24	39
ლეირია	26	10	5	11	34:36	35
აკადემიკა	26	9	5	12	26:35	32
ბელენენსეში	26	9	4	13	33:32	31
მარიტიმუ	26	7	10	9	28:29	31
ამადორა	26	8	6	12	22:27	30
რიუ ავე	26	7	9	10	27:36	30
ნავალი	26	8	4	14	26:35	28
გიმარაეში	26	7	7	12	21:31	28
ფერეირა	26	7	7	12	26:38	28
ჟილ ვისენტე	26	8	3	15	27:34	27
პენაფიელი	26	2	6	18	18:51	12

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XX ტური

სპარტა 1:0 სლოვაცკო

ლიბერეცი	20	13	6	1	31:13	45
ტეპლიცე	20	9	9	2	26:16	36
სლავია	19	9	7	3	34:21	34
ბოლესლავი	18	9	4	5	29:25	31
იაბლონეცი	19	9	3	7	28:22	30
სიგმა	19	8	2	9	25:30	26
პრჟიბრამი	18	6	6	6	25:21	24
სპარტა	19	7	3	9	29:30	24
ზლინი	19	6	5	8	16:20	23
პლზენი	19	5	7	7	22:24	22
მოსტი	19	7	1	11	20:27	22
ბანიკი	18	5	5	8	16:20	20
სლოვაცკო	20	4	7	9	20:25	19
იჰლავა	18	4	7	7	13:22	19
ბრნო	18	3	8	7	18:22	17
ბლშანი	17	3	6	8	14:28	15

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXV ტური

მიუნხენი 0:1 ბოხუმი

ბოხუმი	25	14	7	4	39:19	49
ალემანია	23	14	3	6	43:25	45
კოტბუსი	25	11	8	6	38:27	41
ფრაიბურგი	24	12	5	7	32:25	41
ფიურტი	23	11	6	6	37:30	39
პადერბორნი	25	10	7	8	36:23	37
კარლსრუე	24	10	7	7	33:29	37
უნტერჰახინგი	24	10	4	10	38:34	34
ჰანზა	24	10	4	10	33:32	34
მიუნხენი	25	8	8	9	34:34	32
ბურგჰაუზენი	25	8	8	9	29:38	32
ბრაუნშვაიგი	24	9	4	11	25:27	31
აუე	25	7	9	9	24:29	30
დინამო	24	7	5	12	26:34	26
ოფენბახი	24	7	4	13	24:44	25
ზაარბრიუკენი	23	6	5	12	27:45	23
ალენი	24	5	7	12	26:39	22
ზიგენი	23	5	5	13	22:32	20

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა

15 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	530	ლიუერპული-ფულემი	1.35	4.20	8.50	1.02	1.16	2.81

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:45	1	ეფერტონი-ასტონ ვილა	2.00	3.30	3.50	1.24	1.27	1.69
19:00	2	ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი	6.00	3.50	1.55	2.21	1.23	1.07
19:00	4	ბლეკბერნი-მიდლსბრო	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
19:00	6	ბოლტონი-სანდერლენდი	1.40	4.20	7.00	1.04	1.16	2.62
19:00	8	არსენალი-ჩარლტონი	1.40	4.20	7.00	1.04	1.16	2.62
19:00	9	სიტი-უიგანი	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
19:00	10	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
21:15	12	ბირმინგემი-ტოტენჰემი	3.10	3.10	2.25	1.54	1.30	1.30

19 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:30	14	ნიუკასლი-ლიუერპული	2.85	2.90	2.45	1.43	1.31	1.32
20:00	15	ფულემი-ჩელსი	6.00	3.70	1.50	2.28	1.20	1.06

ინგლისი. ჩემპიონატი

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	18	ჰალი-ქრიუ	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
19:00	19	ლუტონი-დერბი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
19:00	20	კრისტალ პალასი-ოფსეიჩი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
19:00	21	ქოვენთრი-ლიდსი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
19:00	22	მიდლუოლი-ლესტერი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	23	უენსდი-პრესტონი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
19:00	24	ნორვიჩი-შეფილდი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
19:00	25	ქარ-პრაიტონი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
19:00	26	სტოკი-ბარნლი	1.95	3.20	3.55	1.21	1.25	1.68
19:00	27	პლიმუთი-კარდიფი	2.30	3.10	2.85	1.32	1.27	1.48
19:00	28	რედინგი-ვულვერჰემპტონი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93

20 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	29	საუთჰემპტონი-უოტფორდი	2.90	3.00	2.30	1.47	1.28	1.30

ინგლისი. I ლიგა

17 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	31	სუონსი-ბრენტფორდი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
23:45	32	ტრანმერი-უოლსოული	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	33	ბორნმუთი-იოვილი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
19:00	34	ბრისტოლი-ჯილინგემი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
19:00	35	დონკასტერი-ნოტინგემი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	36	ბრედფორდი-ოლდემი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
19:00	37	ბლეკპული-პორტ ვეილი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	38	ჰალიფაქსი-როტერჰემი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
19:00	39	ჩესტერფილდი-სანთორპი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	40	დონსი-საუთენდი	3.30	3.30	1.90	1.64	1.20	1.20
19:00	41	კოლჩესტერი-სუინდონი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
19:00	42	ჰარტლპული-ბარნსლი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44

ინგლისი. II ლიგა

15 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	534	ოქსფორდი-როუერსი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	45	როჩდეილი-რექსემი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	46	რაშდენი-ლეიტონი	2.85	3.20	2.25	1.50	1.25	1.32
19:00	47	ბოსტონი-ლინკოლნი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
19:00	48	სტოკპორტი-მაკლსფილდი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	49	მენსფილდი-ნორიჰემპტონი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
19:00	50	ნოტსი-ოქსფორდი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
19:00	51	უიკომბი-ტორკი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
19:00	52	პიტერბრო-ბარნეტი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
19:00	53	შრიუსბერი-როუერსი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	54	გრიმსბი-ბერი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
19:00	55	დარლინგტონი-კარლაილი	2.65	3.20	2.40	1.44	1.25	1.37
19:00	56	ჩესტერი-ჩელტენემი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35

შოტლანდია. პრემიერლიგა

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	66	კილმარნოკი-ფოლკირკი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
19:00	67	მოსერუელი-პიტერხიანი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
19:00	68	აბერდინი-ლივინგსტონი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31

19 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:30	69	ჰართსი-რეინჯერსი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35

გერმანია. I ბუნდესლიგა

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:30	87	აინტრახტი-ლუისბურგი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
18:30	88	ვოლფსბურგი-ჰამბურგი	3.10	3.00	2.25	1.52	1.30	1.28
18:30	90	დორტმუნდი-ლაუტერნი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
18:30	91	ჰანოვერი-კიოლნი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
18:30	93	ლეფერკუზენი-მაინცი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
18:30	94	ბაიერნი-შალკე	1.75	3.40	4.40	1.15	1.25	1.91
18:30	95	ნიურნბერგი-ვერდერი	3.20	3.10	2.15	1.57	1.28	1.26

19 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	96	გლადბახი-შტუტგარტი	2.40	3.10	2.70	1.35	1.27	1.44
20:30	97	ჰერტა-არმინია	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82

ავსტრია. ბუნდესლიგა

15 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	126	აუსტრია-გრაცერი	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
22:30	127	ალპირა-რიდი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50

შვეიცარია. ჩემპიონატი

15 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	686	ბოლმი-ვადუცი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54

იტალია. სერია A

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	159	ტრევისო-კალიარი	2.90	2.90	2.45	1.45	1.32	1.32
23:30	160	ლივორნო-იუვენტუსი	4.80	2.90	1.85	1.80	1.33	1.12

19 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	162	ინტერი-ლაციო	1.50	3.50	7.00	1.04	1.23	2.33
18:00	163	რეჯინა-ემპოლი	1.90	2.90	4.50	1.14	1.33	1.76
18:00	164	ფიორენტინა-ასკოლი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
18:00	166	ულინჭე-მილანი	5.00	3.30	1.70	1.98	1.26	1.12
18:00	168	სამპდორია-პალერმო	2.15	2.90	3.60	1.23	1.34	1.60
18:00	169	ლეჩე-პარმა	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
18:00	171	კიევო-სიენა	2.00	2.90	4.10	1.18	1.34	1.69
23:30	172	რომა-მესინა	1.45	3.60	8.00	1.03	1.22	2.48

ესპანეთი. I დივიზიონი

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	206	ვილიარეალი-ატლეტიკო	2.10	3.10	3.30	1.25	1.28	1.59
23:00	207	სოსიედადი-ბარსელონა	5.20	3.50	1.60	2.09	1.22	1.09
21:00	210	სეტაფე-დეპორტივო	2.55	3.00	2.75	1.37	1.32	1.43

19 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	204	კადისი-ალავესი	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:45	205	სელტა-ბილბაო	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
22:00	208	რეალი-ბეტისი	1.40	4.30	7.00	1.05	1.16	2.66
20:00	211	სევილია-მალიორკა	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
20:00	212	ესპანიოლი-ოსასუნა	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
20:00	213	რასინგი-ვალენსია	3.40	3.10	2.10	1.62	1.29	1.25
22:00	215	მალაგა-სარაგოსა	2.65	2.90	2.70	1.38	1.33	1.39

საფრანგეთი. I დივიზიონი

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:15	227	ლე მანი-ნანტი	1.90	3.10	4.20	1.17	1.30	1.78
23:00	228	მეცი-რენი	2.60	2.90	2.75	1.37	1.33	1.41
23:00	229	ტრუა-ბორდო	3.40	2.90	2.15	1.56	1.31	1.23
23:00	231	ტულუზი-ლანსი	2.40	2.80	3.00	1.29	1.33	1.44
23:00	232	ხოშო-ლიონი	3.90	3.00	1.90	1.69	1.27	1.16
23:00	234	აიაჩო-მონაკო	3.00	2.90	2.40	1.47	1.33	1.31
23:00	235	ნიცა-ნანსი	2.00	3.00	3.70	1.20	1.29	1.65

19 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	236	ლილი-მარსელი	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
21:00	237	სტ-ეტიენი-სტრასბური	1.90	3.10	4.10	1.17	1.29	1.76
23:45	238	პუ-ოსერი	2.15	2.90	3.40	1.23	1.31	1.56

ბელგია

I დივიზიონი

17 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	250	სტანდარდი-გენტი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	251	ვესტერლო-ბრიუჯე	4.20	3.50	1.70	1.90	1.21	1.14
23:00	253	სერკლი-ბრიუსელი	2.20	3.20	2.95	1.30	1.26	1.53
23:00	254	ანდერლეხტი-ბეევერენი	1.20	5.40	11.00	1.00	1.08	3.62
23:00	256	ვარეგემი-ლიერსი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
23:00	257	შარლერუა-ლოკერენი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
23:00	258	ბეერსხოტი-ჭუსკრონი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
23:00	259	ლუკეე-რუსელარე	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50

19 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	260	ვენტი-სტ-ტრუიდენი	1.65	3.40	4.75	1.11	1.22	1.98

დანია

სუპერლიგა

18 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	393	ხიდსებორგი-ბრიონდბიუ	4.50	3.40	1.65	1.93	1.20	1.11

19 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	396	ჰორსენსი-ვიბორგი	3.50	3.30	1.90	1.69	1.23	1.20
16:15	399	მიდტიუელანდი-ორჰუსი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
20:30	400	კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი	1.25	4.80	9.00	1.00	1.09	3.13

მექსიკა

15 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	426	მონტერეი-დორადოსი	1.80	3.30	3.85	1.16	1.22	1.77
23:45	427	სან ლუისი-ნეკახა	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
23:45	428	პაჩუკა-ტიგრესი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
23:45	429	ამერიკა-ტოლუკა	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
23:45	430	აგლასი-პუმასი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
23:45	431	კრუს ასული-სანტოსი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
23:45	432	ვერაკრუსი-ჩივასი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
23:45	433	ტეკოსი-საგუარეს	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
23:45	434	მორელია-აგლასტე	1.80	3.30	3.85	1.16	1.22	1.77

უეფას თასი

15 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	473	ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	1.45	3.90	6.30	1.05	1.17	2.40
23:45	474	რომა-მიდლსბრო	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
23:45	475	სევილია-ლილი	1.70	3.20	5.00	1.11	1.26	1.95

16 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	476	სენიტი-მარსელი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
20:30	477	ლევსკი-ულინჭე	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
21:00	478	სტრასბური-ბასელი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
23:30	479	შალკე-პალერმო	1.60	3.40	5.30	1.08	1.22	2.07
23:45	480	ბეტისი-სტიაუა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02

ინგლისი

თასი

15 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	489	ვესტ ჰემი-ბოლტონი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49

ესპანეთი. თასი

15 მარტი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	502	დეპორტივო-ესპანიოლი	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92

			1	X	2	1-X	1-2	X-2
პორტუგალია. თასი								
15 მარტი								
23:45	503	აკადემიკა-სპორტინგი	4.20	3.40	1.75	1.87	1.23	1.15
19:00	504	სეტუბალი-ბოავიშტა	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
22:30	505	მარიტიმუ-პორტუ	4.00	3.30	1.80	1.80	1.24	1.16
23:45	506	ბენფიკა-გიმარაეში	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
რუსეთი. თასი								
15 მარტი								
15:00	510	სპარტაკი(კოსტრომა)-ცსკა	4.80	3.40	1.55	1.99	1.17	1.06
შვეიცარია.თასი								
15 მარტი								
23:15	500	ციურიხი-იანგ ბოიზი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
23:15	501	ვინტერთური-სიონი	3.30	3.20	2.05	1.62	1.26	1.24
პოლონეთი. თასი								
15 მარტი								
21:00	512	პლოცკი-ლეხი	2.05	3.10	3.10	1.23	1.23	1.54
როიალ ლიგა								
16 მარტი								
23:35	683	კოპენჰაგენი-მიდტიულანდი	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
23:35	684	ოურუორკენი-ლილეჰრიომი	2.15	3.00	3.10	1.25	1.26	1.52
ლიბერტადორესის თასი								
15 მარტი								
23:45	522	პალმეირასი-როსარიო	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
23:45	523	ბოლივარსტრუდ კრიტალი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
16 მარტი								
23:45	524	მარაკაიბო-ნასიონალი	1.95	3.30	3.20	1.23	1.21	1.62
23:45	525	რიკერ პლეიტი-პაუელისტა	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
23:45	526	ქუიტო-როხა	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
კალათბურთი								
ევროლიგა								
15 მარტი								
21:15	771	ცსკა-რიგასი	1.12	12.00	4.50	1.02	1.00	3.27
21:30	772	პანაითინაიკოსი-ციბონა	1.15	12.00	4.30	1.04	1.00	3.16
23:45	773	ტაუ-ბამბერგი	1.06	12.00	5.50	1.00	1.00	3.77
23:45	774	ბენეტონი-ეფესი	1.50	12.00	2.40	1.33	1.00	2.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10473	ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	1.85	2.20	6.70	1.00	1.44	1.65
10474	რომა-მიდლსბრო	1.95	2.10	6.00	1.01	1.47	1.55
10475	სევილია-ლილი	2.20	2.00	4.70	1.04	1.49	1.40
10476	ზენიტი-მარსელი	2.70	2.00	3.40	1.14	1.50	1.25
10477	ლევსკი-უდინეზე	2.80	2.00	3.30	1.16	1.51	1.24
10478	სტრასბური-ბახელი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10479	შალკე-პალერმო	2.10	2.00	5.50	1.02	1.51	1.46
10480	ბეტისი-სტიაუა	2.25	2.00	5.00	1.05	1.55	1.42

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11473	ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	1.80	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	12.00
11474	რომა-მიდლსბრო	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11475	სევილია-ლილი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11476	ზენიტი-მარსელი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11477	ლევსკი-უდინეზე	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11478	სტრასბური-ბახელი	3.10	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11479	შალკე-პალერმო	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11480	ბეტისი-სტიაუა	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12473	ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	1.90	1.70
12474	რომა-მიდლსბრო	1.70	1.90
12475	სევილია-ლილი	1.55	2.10
12476	ზენიტი-მარსელი	1.55	2.10
12477	ლევსკი-უდინეზე	1.55	2.00
12478	სტრასბური-ბახელი	1.60	2.00
12479	შალკე-პალერმო	1.70	1.90
12480	ბეტისი-სტიაუა	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13473	ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	1.80	1.60
13474	რომა-მიდლსბრო	1.80	1.60
13475	სევილია-ლილი	1.60	1.80
13476	ზენიტი-მარსელი	1.60	1.80
13477	ლევსკი-უდინეზე	1.60	1.80
13478	სტრასბური-ბახელი	1.60	1.80
13479	შალკე-პალერმო	1.60	1.80
13480	ბეტისი-სტიაუა	1.80	1.60

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზაბუნულად ჩაითვლება)

14473	ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	1.20	2.50
14474	რომა-მიდლსბრო	1.25	2.30
14475	სევილია-ლილი	1.40	2.40
14476	ზენიტი-მარსელი	1.75	2.00
14477	ლევსკი-უდინეზე	1.80	2.00
14478	სტრასბური-ბახელი	1.65	2.10
14479	შალკე-პალერმო	1.30	2.40
14480	ბეტისი-სტიაუა	1.35	2.35

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

	I-ში	თანაბრად	II-ში
15473 ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	3.00	2.80	2.00
15474 რომა-მიდლსბრო	3.00	2.80	2.00
15475 სევილია-ლილი	3.00	2.80	2.00
15476 ზენიტი-მარსელი	3.00	2.80	2.00
15477 ლევსკი-უდინეზე	3.00	2.80	2.00
15478 სტრასბური-ბახელი	3.00	2.80	2.00
15479 შალკე-პალერმო	3.00	2.80	2.00
15480 ბეტისი-სტიაუა	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16473 ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	1.09	3.80
16474 რომა-მიდლსბრო	1.15	3.50
16475 სევილია-ლილი	1.20	3.20
16476 ზენიტი-მარსელი	1.50	2.10
16477 ლევსკი-უდინეზე	1.55	2.10
16478 სტრასბური-ბახელი	1.40	2.40
16479 შალკე-პალერმო	1.17	3.40
16480 ბეტისი-სტიაუა	1.18	3.50

გოლი:ფქვილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ფქვილად)

17473 ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	1.85	1.95
17474 რომა-მიდლსბრო	1.85	1.95
17475 სევილია-ლილი	1.85	1.95
17476 ზენიტი-მარსელი	1.85	1.95
17477 ლევსკი-უდინეზე	1.85	1.95
17478 სტრასბური-ბახელი	1.85	1.95
17479 შალკე-პალერმო	1.85	1.95
17480 ბეტისი-სტიაუა	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიზუსტეთ

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18473 ჰამბურგი-რაპიდი(ბ)	2.40	1.30
18474 რომა-მიდლსბრო	2.00	1.60
18475 სევილია-ლილი	2.40	1.45
18476 ზენიტი-მარსელი	1.30	3.00
18477 ლევსკი-უდინეზე	2.10	1.60
18478 სტრასბური-ბახელი	4.20	1.15
18479 შალკე-პალერმო	2.10	1.55
18480 ბეტისი-სტიაუა	1.50	2.30

მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

18:00	9012	იაპონია	130.00
18:00	9012	ესპანეთი	12.00
18:00	9012	ავსტრალია	80.00
18:00	9012	ჰოლანდია	75.00
18:00	9012	ხორვატია	50.00
18:00	9012	უკრაინა	45.00
18:00	9012	შვეიცარია	40.00
18:00	9012	შვედეთი	28.00
18:00	9012	ტუნისი	280.00
18:00	9012	პორტუგალია	18.00
18:00	9012	აშშ	95.00
18:00	9012	არგენტინა	9.00
18:00	9012	იტალია	8.50
18:00	9012	გერმანია	7.50
18:00	9012	ინგლისი	6.50
18:00	9012	ბრაზილია	3.70
18:00	9012	შვეიცარია	100.00
18:00	9012	ნიგერია	25.00
18:00	9012	ტოგო	290.00
18:00	9012	ჰოლანდია	15.00
18:00	9012	კოტ დიერი	80.00
18:00	9012	სარბეთი	600.00
18:00	9012	საფრანგეთი	10.00
18:00	9012	ანგოლა	380.00
18:00	9012	სერბეთი	100.00
18:00	9012	კორეა	250.00
18:00	9012	განა	190.00
18:00	9012	პარაგვაი	130.00
18:00	9012	ეკვადორი	120.00
18:00	9012	ტრინიდადი	800.00
18:00	9012	კოსტა რიკა	500.00
18:00	9012	ირანი	450.00

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

ჯგუფი A 9101			ჯგუფი B 9102			ჯგუფი C 9103			ჯგუფი D 9104			ჯგუფი E 9105			ჯგუფი F 9106			ჯგუფი G 9107			ჯგუფი H 9108		
18:00	კოსტა რიკა	15.00	18:00	ინგლისი	1.45	18:00	სერბეთი	9.00	18:00	ანგოლა	12.00	18:00	აშშ	7.00	18:00	ხორვატია	6.20	18:00	საფრანგეთი	1.30	18:00	ესპანეთი	1.50
18:00	გერმანია	1.35	18:00	შვეიცარია	3.10	18:00	არგენტინა	1.95	18:00	ირანი	10.00	18:00	იტალია	1.65	18:00	ავსტრალია	12.00	18:00	შვეიცარია	4.80	18:00	უკრაინა	3.00
18:00	პოლონეთი	4.50	18:00	პარაგვაი	7.00	18:00	ჰოლანდია	2.40	18:00	პორტუგალია	1.80	18:00	ნიგერია	3.00	18:00	იაპონია	12.00	18:00	კორეა	10.00	18:00	ტუნისი	8.50
18:00	ეკვადორი	9.00	18:00	ტრინიდადი	35.00	18:00	კოტ დიერი	9.00	18:00	მექსიკა	2.10	18:00	განა	10.00	18:00	ბრაზილია	1.20	18:00	ტოგო	15.00	18:00	სარბეთი	30.00

ნიკორამ თასი რქებით გაათრია

უსტიაშვილი რეალისტია და ჩემპიონობას უმიზნებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა გასულ კვირას პირველი ტიტული მოიგო — საქართველოს თასი. სტუდენტებმა სამივე სათასო მატჩი ბრძოლაში გალიეს, თუმც განსაკუთრებული ხიბლი მაინც ფინალურ ჯახს ჰქონდა, რომელშიც თსუ-მ ნახევარფინალში „აზოტის“ შემმუსვრელ „ავიამშენს“ 18 ქულა ამოუღო და თასიც ჩაიხუტა. კომპანია „ნიკორასგან“ წელგამართულმა თსუ-მ ეს სეზონი მძლავრად დაიწყო და ჩემპიონატში კარგა ხანს წაუგებელადაც მიიბრძოდა, თუმც სამი კვირის წინ სტუდენტებს მწვრთნელი გამოუცვალეს და ამ თასის მოგებას მათგან ცოტა თუ ელოდა. გუშინ რომ შევეხმიანეთ, თავად თსუ-ს მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმაც ის გვკითხა, პირადად თქვენ თუ გჯეროდათ ჩვენი გამარჯვებისო...



— ალბათ არავის სჯეროდა, რომ თასს „თსუ-ნიკორა“ მოიგებდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ავიამშენმა“ ფავორიტი „აზოტი“ იოლად დაამარცხა — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი სტუდენტების თავკაცმა.

— თქვენთვისაც მოულოდნელი ხომ არ იყო ეს წარმატება?

— ვერ ვიტყვი, რომ გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი... რა თქმა უნდა, ძნელია იყო. გუნდში ახალი მოსული ვარ და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მოთამაშეს ახლოს ვიცნობ, შეთამაშება გვაკლდა. სულ სხვაა, როცა გუნდთან ერთად შეკრებას გაივლი და მოემზადები. ჩვენ კი ცალიტნოტში ვიყავით, თამაში თამაშზე გვქონდა. თუნდაც ახლა, გუშინწინ თასი მოვიგეთ და 17-ში უკვე თამაში გველის.

— ფინალამდეც ჯახირით მიხვედით. თქვენს მეტოქე „ავიამშენს“ კი ოფლი თითქმის არც მოუდენია...

— ძალიან გადატვირთულ გრაფიკში ვიყავით. სამ დღეში სამი მატჩი გვქონდა და სათამაშო სტრატეგიას გზადაგზა ვარჩევდით. ამიტომ იყო, სხვადასხვა ხუთეულით რომ ვიწყებდი თამაშს. სამივე მატჩში დიდი ბრძოლა გადავიტანეთ. თუნდაც პირველი შეხვედრა ავიღოთ, რომელშიც „დინამო“ დავამარცხეთ. მოგეხსენებათ, მე ამ გუნდიდან მოვედი თსუ-ში და ვიცოდი, რომ იოლი გასეირნება არ გველოდა. ჩემი წამოსვლის შემდეგ „დინამოში“ თითქმის არაფერი შეცვლილა, ისეთივე სწრაფ კალათბურთს თამაშობენ.

— სტუ?

— ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს სოლიდური შემადგენლობა ჰყავს, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია და საკანდელიძე-ქორქიას მემორიალზე ტექნიკოსებმა „ავიამშენსაც“ აჯობეს...

— რომელიც ფინალში ერთხანს 18 ქულით გიგებდათ. რას ფიქრობდით ამხელა ჩამორჩენის დროს?

— ძალიან ცუდად დავიწყეთ „ავიამშენთან“ ფინალური მატჩი. უფრო სწორად, უილბლობა დაგჩემდა და საწყისი 14 სამქულიანიდან მხოლოდ ერთი ჩავაგდეთ. ბიჭებს ვეუბნებოდი, რომ სასროლი მაინც ესროლათ, ადრე თუ გვიან ჩავარდება-მეთქი. თუ არ ჩავარდება და წავაგებთ, ვის არ წაუგია-თქო. ამავდროულად დაცვაში მეტ ყურადღებას ვითხოვდი, რათა ჩვენ თუ ვერ ვაგდებდით, მეტოქისთვის მაინც შეგვეშალა ხელი.

— როგორც აღმოჩნდა, დავალება პირნათლად შეასრულეს თსუ-ელებმა. განსაკუთრებით ვის გამოარჩევდით?

— საერთოდ, გამორჩევა არ მიყვარს. ვიგებთ ერთად და ვაგებთ ერთად. ფინალის წინ მართლაც ცუდ მდგომარეობაში ვიყავით. დავით მუშაკუდიანი ხომ ტრავმის გამო გვაკლდა და დილას ვაკო ბეჟანიშვილი და ბესიკ ლეჟავაც არ იყვნენ ჯანზე. ორივე მათგანმა დიდი ტკივილი დაძლია, მოედანზე რომ გასულიყო და გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა. ბეჟანიშვილი ახალმოსულია და მიკვირს, აქამდე რატომ იყო უგუნდოდ. ვაკოს დიდი გამოცდილება უმაგრებს ზურგს და მიხარია, ჩვენთან რომ ითამაშებს.

— ფიქრობთ, რომ თსუ-ს უკვე კარგად მოერგეთ?

— არა, პრობლემები საკმარისად გვაქვს. თასის მოგება არ ნიშნავს, რომ თამაშის ხარისხი იდეალურია. დაცვაში და თავდასხმაშიც გვაქვს ხარვეზები, რის გამოსწორებაზეც ვმუშაობთ. მინდა, აღვნიშნო, რომ ამ თასის მოგებაში ჩემს წინამორბედ მამუკა ტურაშვილსაც მიუძღვის წვლილი. მას თსუ-ში დიდი სამუშაო აქვს გაწეული.

— მალე პლეი ოფი დაიწყება და თქვენი მიზანი რა იქნება?

— ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. მე საერთოდ იმ მწვრთნელთა კატეგორიას ვეკუთვნი, რომლებიც მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გადიან. „დინამოში“ რომ ვიყავი, მაშინაც იმას ვეუბნებოდი ბიჭებს, რომ ჩემპიონები უნდა გავხდეთ-მეთქი. თუმც რეალობის შეგრძნებასაც არ ვკარგავ. ახლა, როცა თსუ-ს ვუძღვები და გუნდში არაერთი გამოცდილი მოთამაშე მყავს, მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობ. თუმც მანამდე ნახევარფინალის მოგება გვმართებს და უპირველეს ამოცანად ამ ეტაპზე ფინალში გასვლას ვისახავ.

— სტუ-ს არა უშავს, მაგრამ კონკურენტი მაინც „აზოტი“ და „ავიამშენია“. ვის ისურვებდით ფინალში?

— სტუ-ს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არა მგონია, ამ გუნდმა ფინალში გასვლა მოახერხოს. ამის მიზეზი საპლეიოფო სერიის სამ მოგებამდე გაზრდაა. ერთი-ორი თამაშის მოგება სტუ-ს ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია, აი, სამს მოიგებს თუ არა, ვერ გეტყვით. „აზოტიცა“ და „ავიამშენიც“ ძალიან ძლიერები არიან. ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ, ორივეს ძალიან ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს. ყველაფერი მოედანზე გადაწყდება.

ირაკლი პერტაია

მონათლეთ ბრაზილიელები ქართულად



რენატო

ეს უკვე იცით: საპლაჟო ფრენბურთში საქართველოს სახელით ითამაშებს ბრაზილიური წყვილი — რენატო და ჟორჟი. საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია გთავაზობთ კონკურსს — დაარქვით ბრაზილიელებს ქართული მეტსახელი.

გამოგვიგზავნეთ თქვენი ვარიანტები, ფრენბურთის ფედერაციის მიერ მოწონებული ვერსიის ავტორი დაჯილდოვდება გაქართველებული ბრაზილიელების ავტოგრაფებიანი პეკინის ოლიმპიადის ოფიციალური ბურთით.



ჟორჟი

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

13 მარტი

მილუოკი 88:87 ატლანტა

მილუოკი: საიმონსი (18)
ატლანტა: აივი (12), ჯონსონი (9 ქულა, 17 პასი, 9 მოხსნა), სმიტი (25), ჰარინგტონი (7), შაჩულია (29 წუთი, 2 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება); სტუდემაიერი (21), უილიამსი (9), ბატისტა (2)

ინდიანა 97:83 ორლანდო

ინდიანა: გრეინჯერი (21), ჯონსონი (21)
ორლანდო: ჰოვარდი (22)

კლიპერსი 95:87 მინესოტა

კლიპერსი: კამანი (24 ქულა, 23 მოხსნა), კასერი (17), მეჯიტი (15)
მინესოტა: დევისი (20), ბლუნტი (18)

ნიუ იორკი 96:108 დენვერი

ნიუ იორკი: მარბერი (25), ფრაი (16)
დენვერი: ენტონი (35), მილერი (16)

ჰიუსტონი 77:90 ნიუ ჯერსი

ჰიუსტონი: მინი (36)
ნიუ ჯერსი: კატერი (29), რობინსონი (15), კიდი (11 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი)

აღმოსავლეთი

ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	34	28	54,8
ფილადელფია	31	31	50,0
ბოსტონი	27	36	42,9
ტორონტო	22	41	34,9
ნიუ იორკი	17	45	27,4
ცენტრალური			
დეტროიტი	50	12	80,6
კლივლენდი	36	28	56,3
ინდიანა	32	29	52,5
მილუოკი	31	32	49,2
ჩიკაგო	28	35	44,4
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
მაიამი	41	21	66,1
ვაშინგტონი	31	30	50,8
ორლანდო	22	41	34,9
ატლანტა	20	41	32,8
შარლოტი	18	46	28,1

დასავლეთი

სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	49	14	77,8
დალასი	49	14	77,8
მემფისი	34	29	54,0
ნიუ ორლეანი	31	31	50,0
ჰიუსტონი	29	35	45,3
ჩრდილო-დასავლეთი			
დენვერი	36	29	55,4
იუტა	30	32	48,4
მინესოტა	26	37	41,3
სიეტლი	25	38	39,7
პორტლენდი	20	42	32,3
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	43	19	69,4
კლიპერსი	37	25	59,7
ლეიკერსი	33	31	51,6
საკრამენტო	32	31	50,8
გ. სტეიტი	26	37	41,3

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

13 მარტი

სან ხოსე 4:3 ლოს ანჯელესი

0:0 1:1 3:2

0:1 ბელანჟე (21), 1:1 ჩიჩუ (29), 2:1 ჩიჩუ (44), 3:1 მარლო (44), 3:2 კორვო (48), 4:2 ჩიჩუ (48), 4:3 კამალერი (49)

მონრეალი 1:2 ტამპა

0:0 0:2 1:0

0:1 ლეკავალიე (32), 0:2 სან ლუი (40), 1:2 რიბეირო (58)

დალასი 4:2 ვანკუვერი

0:0 2:2 2:0

1:0 იოკინენი (21), 2:0 ლეჰტინენი (26), 2:1 კარტერი (32), 2:2 დ. სედინი (34), 3:2 მოდანო (44), 4:2 არნოტი (55)

სენტ ლუისი 3:2 კოლუმბუსი

0:1 2:1 0:0 1:0

0:1 ნეში (8), 1:1 იანგი (31), 2:1 გლუმაკი (33), 2:2 ჩიმერა (38), 3:2 ბეკმანი (64)

კალგარი 4:3 კოლორადო

2:0 1:0 1:3

1:0 იგინლა (9), 2:0 მარჩმენტი (11), 3:0 იგინლა (23), 3:1 საკიკი (45), 3:2 ჰეიდუკი (49), 4:2 კობასიუ (57), 4:3 ტანგეი (59)

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ეკატერინბურგი. რუსეთი 10 - 27 მარტი

II წრე. მეორე მატჩები

ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო)	(0,5:0,5)	(0:1)	მაია ჩიბურდანიძე (საქართველო)
მარიცა არიბასი (კუბა)	(0:1)	(0,5:0,5)	ნინო ხურციძე (საქართველო)
სუბარამან ვიაიალაქშმი (ინდოეთი)	(1:0)	(0:1)	ლელა ჯავახიშვილი (საქართველო)
ვენიუნ იუ (ჩინეთი)	(0,5:0,5)	(0,5:0,5)	ნანა ძაგნიძე (საქართველო

ხურციძემ არიბასი კუნძულზე დატოვა



ნინო ხურციძე

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ და ქეთევან არახამია-გრანტმა პარტია ყველაზე ბოლოს დაასრულეს. მათ 129 სვლა იბრძოლეს და საბოლოოდ ყაიმზე შეთანხმდნენ.

ჩიბურდანიძეს პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ყაიმიც ჰყოფნიდა, არახამია-გრანტს კი მდგომარეობის გამოსასწორებლად მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. შეხვედრა, მართლაც, უშეღავათო გამოვიდა და ქართველებმა უბრძოლველად დაფის ერთი უჯრაც არ დაუთმეს ერთმანეთს. უფრო არახამია-გრანტი აქტიურობდა, ერთ ეპიზოდში წინაც გავიდა, თუმც სულ ეს იყო. გამოცდილ მეტოქესთან მეტს ვერაფერს გახდა და თითქმის დაცარიელებულ დაფაზე მისთვის სავალალო ყაიმს დათანხმდა.

მომდევნო ეტაპზე გავიდა ნინო ხურციძეც. მას მარიცა არიბასთან პირველი შეხვედრა ყაიმით ჰქონდა დასრულებული, მეორეში კი მცირე უპირატესობას თეთრებით მოთამაშე კუბელი ფლობდა, ამიტომ კუნძულელმა თავიდანვე აგრესიულად შეუტია ქართველს. არიბასმა ცენტრში პაიკებით დაარტყა ხურციძის არმიას, თუმც ვერ იხეირა და დაფის ამ ნაწილს ჩვენებური დაეპატრონა. მეტოქეები ფიგურების გაცვლას შეუდგნენ. ხურციძემ ყურადღება ხელმწიფის ფლანგისკენ გადაიტანა, თეთრებს მძიმედ შეუტია, ხარისხით წინ გავიდა და 62-ე სვლაზე გამარჯვებაც იზეიმა.

ლაშა გეგეჭკორი

თოვლმა ბორჯღალოსნებს სეზონი გაუხანგრძლივა

საბოლოოდ გადაწყდა, რომ წინასწარი გეგმით 18 მარტს ჩასატარებელი საერთათასო ჩეხეთი — საქართველოს შეხვედრა საზაფხულოდ გადაიდო. მატჩის გადადებაზე დასტური გუშინ საქართველოს რაგბის კავშირმაც თქვა. ცნობილია ჩეხეთი — საქართველოს ახალი თარიღიც. მატჩი 10 ივნისს გაიმართება. მისი გადადების მიზეზი კი დიდთოვლობაა, რის გამოც ჩეხები ამ უქმეებისთვის სტადიონის შესაბამის კონდიციებში მოყვანას ვერ ასწრებდნენ.

მანამდე ჩვენები ერთა თასის ბოლოსწინა მატჩს 29 აპრილს კიევში, უკრაინის ნაკრებთან გამართავენ. უკრაინასთან და ჩეხეთთან მატჩების შუალედში კი ორ ტესტსაც მოასწრებენ. მაისში ბორჯღალოსნები იაპონიას დაეჯახებიან სტუმრად, ხოლო ივნისის დასაწყისში ინგლისელ „ბარბაროსებს“ უმასპინძლებენ.

ნიკოს ვარსკვლავმა გამოანათა

კვირას დაწყებულ საპირველფორმულო მსოფლიოს ჩემპიონატში სამი ახალბედა ვიხილეთ — 31 წლის იაპონელი იუძი იდე („სუპერ აგური“), 23 წლის ამერიკელი სკოტ სპიდი („სკუდერია ტორო როსო“) და ფინური წარმოშობის გერმანელი ვუნდერკინდი, 20 წლის ნიკო როსბერგი („უილიამსი“). ამ სამეულის მიმატებით, „სამეფო რბოლების“ 57-წლიან ისტორიაში მონაწილეთა რაოდენობა 614 გახდა. 12 მარტს ბაჰრეინის დიდი პრიზის გათამაშებაში დებიუტისას როსბერგი 20 წლის და რვა თვის იყო და ფორმულა 1-ის ყველაზე ყმაწვილ პილოტთა ათეულშიც შევიდა.

ნიკო მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონ კეკე როსბერგის შვილია. „მფრინავი“ ფინელი ცხრა წელი დაქროდა საფორმულო ტრასებზე და 114 რბოლაში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან ხუთი მოიგო.

ბუნებრივია, კეკეს სურდა, ვაჟიშვილი მის კვალს გაჰყოლოდა და დღეს უბედნიერესი ადამიანია, ოცნება რომ შეუსრულდა, თანაც როგორ. თუმც ამაზე ქვემოთ.

ნიკო დაიბადა 1985 წლის 27 ივნისს შუაგულ გერმანიაში, ფრანკფურტის მახლობელ ვისბადენში. რბოლა, როგორც ყველამ, კარტინგით დაიწყო, ათი წლის ასაკში. 17 წლისა „ფორმულა BMW“-ში ჩაჯდა, შემდეგ ორი სეზონი F3-ის ბოლიდით დაჯირითობდა, შარშან კი პატარა ფორმულის, GP2 სერიის მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა და, რასაკვირველია, სერ ფრენკ უილიამსის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ამან იქონია გავლენა. თანაც ორი სეზონი ნიკო „უილიამსის“ მეტესტედ მუშაობდა და ბოსიც თითქმის ყოველდღე აკვირდებოდა ნიჭიერ ახალგაზრდას.

სხვათა შორის, როსბერგი უკვე სამი წელიწადია, „სამეფო რბოლების“ რეკორდსმენად ითვლება. 17 წლისა იყო, როცა „უილიამს BMW-ს“ ტესტებში მონაწილეობის ნება დართეს. ასეთ ყმაწვილ ასაკში საფორმულო ბოლიდით არავის გაუქროლია.

უილიამსი: „მე ერთადერთი არ ვარ, ვინც ნიკოს ნიჭითაა აღფრთოვანებული. იგი ნამდვილი ტალანტია, რომელიც ახლო მომავალში გაიხსნება. მისი სარბოლო მანერა მამამისივით კაშკაშა არაა, სამაგიეროდ, ძალიან სწრაფი და გამორჩეულად ჟინიანია.“

ნიკო არ მალავს, რომ ამ საქმეში ფორმულის გამგებელ ბერნი ეკლსტოუნის ხელიც ურევია, ბერნი ჩემს შესახებ სერ ფრენკს ესაუბრა და კონტრაქტის გაფორმება ურჩია.

ზოგმა ისიც თქვა, როსბერგი ნიჭიერი კია, მაგრამ არჩევანი იმან განაპირობა, რომ საბიუჯეტო პრობლემა მიძალებულ უილიამსს იაფად ერგოო.

ასეა თუ ისე, 20 წლის ბიჭი, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, იქაური ავტოფედერაციის ლიცენზია აქვს და ამიტომაც ამ ქვეყნის სახელით გამოდის, „სამეფო რბოლების“ ერთ-ერთ უძლიერეს საჯინიბოში აღმოჩნდა და სადებიუტო ეტაპის წინ იმედიანად იყო:

„2001 წელს მე მიხაელ შუმახერთან ერთად ვირბოლე. ეს იყო კარტინგისტთა ტურნირი, რომელშიც იგი ფინიშთან მეორე მივიდა, მე კი — მესამე. იმ რბოლამ ჩემს კარიერაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მივხვდი, რომ მსოფლიოს საუკეთესო პილოტთან თანაბრად ვირბოლე და მომავალში შანსი მაქვს. მე მჯერა საკუთარი თავის, მჯერა გუნდის, ახალი „უილიამსის“ და იმედი მაქვს, 2006 წელი წარმატებული იქნება.“

ბაჰრეინს დავუბრუნდეთ. კარიერის სადებიუტო რბოლა როსბერგმა ბრწყინვალედ ჩაატარა და სენსაციურ წარმატებასაც მიაღწია.

სტარტზე შუა ქარავანში, მე-12 კი იდგა, მაგრამ პირველივე მოსახვევში ნიკ ჰაიდფელდის „BMW ზაუბერ“-თან მცირე შეხლის შედეგად ნიკოს მანქანას წინა ფრთა დაუზიანდა და „ცხვირის“ შესაცვლელად ბოქსებს მიაკითხა. ბრძოლას ბოლო, 21-ე დაუბრუნდა და კარგა ხანს კუდში მიჩანჩალებდა, მერე კი ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმე მეტოქეს გაასწრო, მათ შორის, დევიდ კულჰარდს, რალფ შუმახერს, ტაკუმა სატოს და რბოლის გასრულებამდე ასიოდე კილომეტრით ადრე „საჰირის“ წრეს ყველაზე სწრაფადაც შემოუქროლა.

გერმანელმა ვუნდერკინდმა დასკვნით წუთებზე კიდევ მოასწრო კულჰარდის, ბოლოს კი კრისტიან კლიენის უკან ჩამოტოვება და, მართლაც ბრძოლა ფრიად საპატიო, მეშვიდე ადგილზე დაასრულა.

ფანტასტიკური შედეგია ახალბედასთვის და დასაწყისში ის ზედმეტი, იძულებითი ოცწამიანი შეყოვნება რომ არა, იქნებ პოდიუმზეც შემდგარიყო.

ბრწყინვალე ფინიშის შემდეგ ნიკომ არაერთი ქათინაური დაიმსახურა, მათ შორის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ჯეკი სტიუარტისგან: „ნიკომ განმაცვიფრა. ერთ რბოლასაც ვერ ვიხსენებ, დებიუტანტს ასეთი წარმატებისთვის რომ მიეღწიოს. ჩემს პირველ რბოლაში ფინიშთან მეექვსე მივედი, ნიკოს კი ბოლოდან მოუხდა გზის გაკაფვა და თანაც მე მაშინ წრის საუკეთესო დრო არ მიჩვენებია.“

როსბერგი გახდა უმრწემესი პილოტი, ვისაც რბოლისას უსწრაფესი წრე გაუხერხებია: „საინტერესო და ხასიამოვნო რბოლა იყო, მიხარია, რომ რაღაც ჩემიც შევმატე მანქანა შესანიშავი იყო, განსაკუთრებით მომეწონა ბრძოლა კულჰარდთან. არაერთხელ მსმენია, რომ ფორმულა 1-ში თითქმის შეუძლებელია გასწრება და დღეს საპირისპიროში დავრწმუნდი. მეშვიდე ადგილი და რბოლის საუკეთესო წრე — ეს იმაზე ბევრად მეტია, რისი იმედიც მქონდა.“

სერ ფრენკ უილიამსი ნიკო როსბერგისა და მარკ ვებერის ქულებით წლეულს სამეულში დაბრუნებას გეგმავს. ნიჭიერი შემსრულებლების მიუხედავად, მისია შეუსრულებადი ჩანს. ვნახოთ...

რეალობა კი ისაა, რომ „რკინის“ ფრენკი არჩევანში არ შემცდარა და „სამეფო რბოლებს“ კიდევ ერთი „მომავლის ჩემპიონი“ შეემატა.

გია ახალაძე

ფორმულა 1-ის ყველაზე ახალგაზრდა მრბოლები

ასაკი	მრბოლი	ქვეყანა	გუნდი	დებიუტი	ადგილი
19 წლის 182 დღის	მაიკ ტაქუელი	ახალი ზელანდია	ტირელი	1980	—
19 წლის 208 დღის	რიკარდო როდრიგესი	მექსიკა	ფერარი	1961	—
19 წლის 218 დღის	ფერნანდო ალონსო	ესპანეთი	მინარდი	2001	—
19 წლის 320 დღის	ესტებან ტუერო	არგენტინა	მინარდი	1998	—
19 წლის 324 დღის	კრის ამონი	ახალი ზელანდია	ლოლა	1963	—
20 წლის 53 დღის	ედი ჩივერი	აშშ	ჰეკეტი	1978	—
20 წლის 53 დღის	ჯენსონ ბატონი	დიდი ბრიტანეთი	უილიამსი	2000	—
20 წლის 192 დღის	პიტერ კოლინსი	დიდი ბრიტანეთი	HWM	1952	—
20 წლის 258 დღის	ნიკო როსბერგი	გერმანია	უილიამსი	2006	7
20 წლის 274 დღის	ტარსო მარკეში	ბრაზილია	მინარდი	1996	—
20 წლის 295 დღის	რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	ჯორდანი	1993	—
20 წლის 301 დღის	ელიო დე ანჯელისი	იტალია	შედოუ	1979	7
20 წლის 312 დღის	ფელიპე მასა	ბრაზილია	ზაუბერი	2002	—
20 წლის 338 დღის	ბრიუს მაკლარენი	ახალი ზელანდია	კუპერი	1958	5

ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი

AFP ინდიან უელსიდან

აგასის სიჩქარე აღარ ჰყოფნის

კაცები. საპრიზო 3 169 600 $

მეორე წრე

პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — ნიკლას კიფერი (გერმანია, 11) — 7:6 4:6 6:4; მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 21) — დავიდ სანგინეტი (იტალია) — 6:3 7:6; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 9) — რაინერ შუტლერი (გერმანია) — 7:6 2:6 6:4; ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი, 23) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — 6:4 6:4; ძსავიე მალისი (ბელგია) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი, 15) — 6:1 6:1; სებასტიან გროშანი (საფრანგეთი, 20) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — 6:1 6:3

მესამე წრე

იგორ ანდრეევი (რუსეთი, 24) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — 3:6 7:6 6:4; მარატ საფინი (რუსეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 5) — 7:6 3:6 6:4; ენდი როდიკი (აშშ, 3) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი, 32) — 6:3 6:4; ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 12) — ტომი რობრედო (ესპანეთი, 17) — 6:2 7:5; ტომი ჰაასი (გერმანია, 26) — ანდრე აგასი (აშშ, 8) — 7:5 6:2; პარადორნ შრიჩაპარნი (ტაილანდი) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი, 14) — 6:2 6:2

ქალები. საპრიზო 2 100 000 $

მესამე წრე

ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 1) — აიკო ნაკამურა (იაპონია) — 6:0 6:0; ალი სუგიამა (იაპონია, 14) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) — 6:3 7:5; ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი, 12) — გიზელა დულკო (არგენტინა, 17) — 1:6 7:5 7:6; ემა ლეინი (ფინეთი — ფლავია პენეტა (იტალია, 6) — 1:0 (უარი); ელენა დემენტიევა (რუსეთი, 4) — სანია მირზა (ინდოეთი, 28) — 5:7 6:4 6:4; ნა ლი (ჩინეთი) — ვანია კინგი (აშშ) — 6:3 6:4; ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი, 22) — მარია კირილენკო (რუსეთი, 11) — 6:2 6:3; ანა ივანოვიჩი (სერბეთი, 8) — შენი პერი (აშშ) — 6:1 6:3; ანა-ლენა გრონეფილდი (გერმანია, 7) — ანა სმაშნოვა (ისრაელი, 26) — 2:6 6:1 6:2; მარიტ ანი (ესტონეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი, 20) — 7:6 6:2; შაჰარ პირი (ისრაელი, 21) — ელენა დანილიდუ (საბერძნეთი) — 4:6 7:6 7:5;

მასტერსის სერიის პირველი ტურნირი სულ უფრო საინტერესო ხდება. გუშინ პირველი მოულოდნელობებიც ვიხილეთ. სწორედ რომ მოულოდნელობები და არა სენსაციები — მართალია, შეჯიბრს მეხუთე და მერვე ნომრები დაეშვიდობნენ, მაგრამ მათი წაგება არც ისე წარმოუდგენელი იყო.

35 წლის ვეტერან ანდრე აგასის აშკარად ეტყობა, რომ მას სულ უფრო უჭირს თანამედროვე ჩოგბურთისთვის დამახასიათებელი მაღალი ტემპის გაძლება და ხშირად ბევრ უნებლიე შეცდომას უშვებს. ამერიკელს გამოცდილებაში ბევრი ვერ შეეჯიბრება, მაგრამ კორტზე უფრო სწრაფი გადაადგილების წყალობით, დღესდღეობით ბევრი ახერხებს მის დამარცხებას. ასე იყო ამ შემთხვევაშიც. როგორც კი ტომი ჰაასმა პირველი სეტის დასკვნით ნაწილიდან მოყოლებული, ოდნავ უმატა თამაშის ტემპს, აგასის მაშინვე დიდი პრობლემები შეექმნა. ჰაასმა კი, რომელმაც წლეულს უკვე ორი ტურნირის მოგება მოასწრო და დიდებულ ფორმაშია, მინიმუმამდე შეამცირა შეცდომები და მეოთხე წრეშიც გავიდა.

არ უმართლებს ნიკოლაი დავიდენკოსაც. ის ზედიზედ მეორედ გადააწყდა მარატ საფინს და ბოლო ათი დღის განმავლობაში მეორედაც დამარცხდა. საფინი კი ყოველ მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო უკეთესად გამოიყურება. მარატს სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა კი ეტყობა, ვერ ახერხებს კონცენტრაციის მთელი მატჩის განმავლობაში შენარჩუნებას და ხანდახან უაზრო შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალი დონის თამაშს აჩვენებს. დავიდენკოსაც მან თითქმის ყველანაირი სტატისტიკური მონაცემებით აჯობა და დამსახურებულად გავიდა მეოთხე წრეში, სადაც ფინელ იარკო ნიემინენს შეხვდება.

„ახლა არაფერი მაქვს დასაკარგი, რეიტინგში ძალიან დაბლა ვარ და მხოლოდ წინსვლაზე უნდა ვიფიქრო... მე მგონი, ზოგიერთი არცთუ სერიოზულად მიყურებს, რადგან ტრავმის გამო შვიდი თვე გამიცდა. ამიტომ შევეცდები, ყველას დავუმტკიცო, რომ მაღალ დონეზე თამაშის თავი კიდევ მაქვს.“ — განაცხადა საფინმა მატჩის შემდეგ.

ასევე საინტერესოდ მიმდინარეობს ქალთა ტურნირიც. მორიგი გასეირნება მოიწყო ჟუსტინ ენენ-არდენმა, ამჯერად აიკო ნაკამურასთან და „ამომავალი მზის“ ქვეყნის წარმომადგენელს კინკილა გეიმიც კი არ დაუთმო. ჭინკა ბელგიელი შემდეგ წრეში კიდევ ერთ იაპონელ — ალი სუგიამას შეხვდება.

კვლავ პრობლემები ჰქონდა ელენა დემენტიევას. თინეიჯერ ინდოელ სანია მირზასთან შეხვედრაში რუსმა ბევრი უაზრობა აკეთა და საზიზღარი პირველი ჩაწოდების გამო მოწინააღმდეგეს პირველი სეტი, უბრალოდ, აჩუქა. თუმცა შემდეგ ელენამ შეძლო თავის ხელში აყვანა და ინდოელი მაინც გატეხა. ისე, დემენტიევამ თუ ასე გააგრძელა, შორს ნამდვილად ვერ წავა.

ფრანგი ჩოგბურთელებისთვის კოშმარად იქცა ესტონელი მარიტ ანი. ბალტიისპირელმა ჯერ ნატალი დეშის გამოუყვანა წირვა, ახლა კი თანამემამულის გზას მარიონ ბარტოლიც გაუყენა.

მოულოდნელობა იყო ასევე მეთერთმეტე ნომერ მარია კირილენკოს მარცხი ანა ჩაკვეტაძესთან. თუმცა ამ უკანასკნელის გამარჯვებას დაუმსახურებელს ვერავინ დაარქმევს — რუსეთის სახელით მოთამაშე ანამ კირილენკოს მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო.

ძაბა ლომაია



AFP ინდიან უელსიდან

მარატ საფინი ფორმაში შედის

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

ინტერი (იტალია) 1:0 აიაქსი (ჰოლანდია) (2:2)

1:0 სტანკოვიჩი (57)

ადრიანომ ვერ გაიტანა პენალტი (27, ააცილა)

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, სამუელი, ჯომე, ფიგუ, ვერონი (კ. ძანეტი 74), კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინეზი (რეკობა 84)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

აიაქსი: შტეკელენბურგი, ტრაბელსი, მადურო, ვერმაელენი, ხუანფრანი, პიენაარი, ლინდენბერგი, ბუხარი, როსალესი (რ. ბაბელი 72), ჰუნტელაარი, როზენბერგი (სარისტიასი 74)

მწვრთნელი: დენი ბლინდი

გაფრთხილება: ვერმაელენი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

65 000 მაყურებელი

მეოთხედფინალი

არსენალი (ინგლისი) — იუვენტუსი (იტალია)

ლიონი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია)

ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი)

ინტერი (იტალია) — ვილიარეალი (ესპანეთი)

I მატჩები გაიმართება 28-29 მარტს, საპასუხოები — 4-5 აპრილს

AP მილანიდან

დეიან სტანკოვიჩის ჩახვეულმა „აიაქსი“ უშანსოდ დატოვა

ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
პრესტონი 3:1 იფსვიჩი

I ლიგა
გადადებული მატჩები
სკანთორპი 2:0 ჰარტლპული
როტერჰემი 2:0 ოლდემი

II ლიგა
გადადებული მატჩები
მაკლფსილდი 3:2 რეძსემი
როჩდეილი — გრიმსბი *გადაიდო*

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
ეძსეტერი 0:2 სტივენეიჯი
სოთჰორტი 1:2 ჰერეფორდი

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება
სიტი 2:1 ასტონ ვილა

LDV VANS TROPHY
1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი
კოლჩესტერი 1:2 *სუონსი* (0:1)

შოტლანდია

I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბრეჩინი — სენტ მირენი *გადაიდო*

II დივიზიონი
გადადებული მატჩები
პარტიკი 2:1 დამბარტონი
ფორფარი — რეითი *გადაიდო*
გრეტნა — სტირლინგი *გადაიდო*

III დივიზიონი
გადადებული მატჩები
არბროთი 1:1 ძუინზ პარკი
ელგინი 1:3 ბერვიკი
ისტ სტირლინგი — კუდენბეთი *გადაიდო*

ავსტრია

I დივიზიონი
XXII ტური
აუსტრია (ლ) 3:2 კუბშტაინი
გრატკორნი 1:0 კერნტენი
ლინცერი 3:0 შვანენშტადტი
აუსტრია (მ) — ალტახი *გადაიდო*
ლეობენი — კაპფენბერგი *დღეს*

გერმანია

II ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
ფიურტი 0:0 ალემანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
კიოლნი (მ) 1:3 ლიუბეკი
ერფურტი — ვერდერი (მ) *გადაიდო*
ვატენშაიდი — ობერჰაუზენი *გადაიდო*

სლოვაკეთი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბანსკა ბისტრიცა 1:2 ტრნავა

საფრანგეთი

თასის მერვედფინალი
ლა დუშერი 0:3 *პსჟ*

რუსეთი

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩი.
სპარტაკი 1:0 ლუჩ-ენერგია (1:0)

პოლონეთი

თასის 1/2 ფინალი
I მატჩი
ზაგლებე 2:0 კორონა

ვის უნდა, რომ ამ ამბავს გადაჰყვეს? ჩათვალეთ, რომ გოგშელიძეს ბინა აქვს

ტაშკენტის ოქროს პრიზიდან მობრუნებული საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისში აგრძელებს, ოღონდ არასრული შემადგენლობით. არა, ტრავმები არაფერ შუაშია, მიზეზი გაცილებით მარტივია. ათენის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე ჯერაც უბინაოდაა. მეორე წელია, გორში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და თბილისიდან ზარს ელის, თუმც...

დაახლოებით ერთი თვის წინ გოგშელიძის პრობლემის წინა პლანზე წამოწევა ვცადეთ და, როგორც მოსალოდნელი იყო, მორიგი დაპირებებიც ვისმინეთ. დაპირებები, გიორგისაც არ დაჰკლებია, რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების პერიოდში. ამ ბოლო დროს კი გოგშელიძეს ძველ პირობას აღარავინ ახსენებს. თავადაც ჩუმადაა. გორის საჭიდაო დარბაზში ჩვეული მონდომებით ემზადება, მაგრამ ისეთი დატვირთვებით ვერა, როგორც თბილისში მოვარჯიშე ნაკრების სხვა წევრები. პირობებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხეირიანი სპარინგების არყოლაც რამდენს ნიშნავს...

— არც ვიცი, რა ვქნა. აშკარად ვხედავ, რომ ასეთი ვარჯიშით საუკეთესო ფორმამდე მისვლა არარეალურია — გვითხრა გოგშელიძემ გუშინ ტელეფონით — სეზონი რომ თბილისის დარბაზში მზადებით დამეწყო, ახლა გაცილებით უკეთესად ვიქნებოდი. ცდას არ ვაკლებ, მთელი მონდომებით ვვარჯიშობ, მაგრამ ჩემი წონის სპარინგების ნაკლებობას განვიცდი. მათ გარეშე კი შედეგისთვის ბრძოლა ძალიან გაჭირდება. როგორ მოვიქცე, გორი-თბილისის გზაზე ყოველდღე ხომ არ ვივლი.

— საბინაო პრობლემაზე ერთი თვის წინანდელ ინტერვიუშიც გვითხარი. მას შემდეგ არავინ შეგხმიანებია?

— აბსოლუტურად არავინ. ამ ერთი თვის განმავლობაში პირველებს ისეთ თქვენ გაგახსენდათ. არადა, დახმარება ახლა უფრო მჭირდება, ვიდრე დიდი ტურნირების შემდეგ. რომ შემეძლოს, კიდევ ერთხელ შევხვდებოდი პირადად პრეზიდენტს.

— ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ხომ არ გისაუბრია სპარინგების ნაკლებობაზე?

— ეს ზაზა თურმანიძემ უჩემოდაც კარგად იცის. ევროპის ჩემპიონატამდე ნაკრებს ორი შეკრება ექნება და მათზე ვეცდებით დანაკლისის ანაზღაურებას. უახლოეს ათ დღეს კი ისევ გორში ვივარჯიშებ.

ერთი თვის წინ, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონმა გიორგი გოგშელიძემ „სარბიელთან“ ინტერვიუში პირველად გააცხადა, რომ დანაპირებს ვერ უსრულებდნენ, სპორტის დეპარტამენტიდან დაწყებული, „ნაციონალებით“ გაგრძელებული და კულტურისა და სპორტის სამინისტროთი დამთავრებული, ყველას დავურეკეთ და დაპირებაც მივიღეთ — გოგშელიძეს პრობლემას აუცილებლად მოვუგვარებთო.

„ნაციონალური“ პარტიიდან ქართული სპორტის მთავარი კურატორი, პარლამენტარი ვალერი გიორგობიანი პრეზიდენტის საქმის კურსში დაყენებასაც დაგვპირდა. ამდენადაც პირველად სწორედ გიორგობიანს დავუკავშირდით.

— ერთი თვის წინ, როდესაც გიორგი გოგშელიძის ბინის პრობლემის გამო დაგირეკეთ, გვითხარით, რომ ამ საქმით პირადად დაინტერესდებოდით. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, გოგშელიძეს კი არავინ შეხმიანებია...

— არ ვიცი, შეეხმიანენ თუ არა გიორგის, მაგრამ მე რასაც დაგპირდით, გავაკეთე. ბატონი მიხეილ სააკაშვილი საქმის კურსში ჩავაყენე და რამდენიმე დღის წინ ამ საქმეზე კულტურისა და სპორტის მინისტრ გოკა გაბაშვილსა და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ კახა გეწაძეს ესაუბრა.

— შედეგი?

— გიორგი გოგშელიძეს ძალიან მალე ექნება ბინა თბილისში. საამისოდ თანხები სპონსორების და სახელმწიფო უწყებების ერთობლივი ძალისხმევით გამოიძებნა. ერთი სიტყვით, ჩათვალეთ, რომ პრობლემა მოგვარებულია.

— რა გარანტიაა, რომ დრო ისევ არ გაიწელება და გოგშელიძეს პეკინის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი ეტაპი არ ჩაუვარდება?

— ამის გარანტია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრაა მინისტრთან და ჭიდაობის ფედერაციის თავკაცთან. არა მგონია, პრეზიდენტს ხელმეორედ დასჭირდეს, მათთვის ამ საკითხის მოგვარების შეხსენება. არავის უნდა, რომ ამ ამბავს გადაჰყვეს.

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გიორგობიანთან საუბრის შემდეგ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დავით ნამგალაურს დავუკავშირდით. იგი რეზერვისტთა წვრთნაზე იყო, თუმც გოგშელიძის საქმის თაობაზე ყველანაირად ინფორმირებული აღმოჩნდა:

„ათენის ოლიმპიადის შემდეგ ისეთი ტალღა იყო, რომ ბინების და პრემიალურების გაცემა იოლად ხდებოდა. ახლა ვითარება გამკაცრდა და გოგშელიძისთვის ბინის მიცემა ამიტომაც გაჯანჯლდა. საკითხი პრაქტიკულად მოგვარებულია. ერთობლივი მუშაობით გადაწყვეტილია, რომ გიორგის ბინას ძალიან მალე გამოუყოფენ.“

პრეზიდენტისა და გოკა გაბაშვილის შეხვედრა კულტურისა და სპორტის სამინისტროშიც დავადასტურეს.

„გოგშელიძის ბინის საკითხი მინისტრმა პირადი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა — გვითხრა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა თათია ბურდულმა — ეს საქმე არავითარ შემთხვევაში აღარ მიჩუმდება. ის კი არა, შეიძლება ითქვას, უკვე ბინის შერჩევის პროცესიც დაწყებულია. პრობლემა თვის ბოლომდე მოგვარდება.“

ოთარ მაღლაკელიძე
ბაჩო სვანიძე

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

თავისუფალი ჭიდაობა. ბათუმი. 13-14 მარტი

50 კგ	74 კგ
1 გივი დავიდოვი (საჩხერე)	1 თორნიკე სვანიძე (თბილისი)
2 რიჩარდ ხალაჩიანი (დედოფლისწყარო)	2 მარად ზოიძე (აჭარა)
3 არჩილ კახიძე (აჭარა)	3 გიორგი დოიჯაშვილი (გორი)
3 დავით ბერძნიშვილი (გორი)	3 გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი)
55 კგ	**84 კგ**
1 მურთაზ კვესაძე (ქუთაისი)	1 ბექა ჭელიძე (თბილისი)
2 გიორგი ედიშერაშვილი (თბილისი)	2 არჩილ ჩელებაძე (აჭარა)
3 გიორგი გოგალაძე (ქუთაისი)	3 შავლეგ ჩიტიშვილი (კასპი)
3 ზვიად ბურჯალიანი (ცაგერი)	3 ზაზა თურმანიძე (აჭარა)
60 კგ	**96 კგ**
1 გიორგი მაყიშვილი (გორი)	1 დავით მოძმანაშვილი (აფხაზეთი)
2 მიხეილ პრელმანი (ხონი)	2 ლევან ქობულაშვილი (მცხეთა)
3 დავით გადეგაშვილი (გორი)	3 დავით მარტიაშვილი (გორი)
3 გიორგი ცუცქირიძე (ქუთაისი)	3 კობა ზუმბულიძე (გორი)
66 კგ	**+120 კგ**
1 ცოტნე ბარამიძე (გორი)	1 გიორგი ნიკურაძე (თბილისი)
2 ჯონი ჯინჭარაძე (აჭარა)	2 ირაკლი ნანავა (აფხაზეთი)
3 გიორგი სანოძე (ხონი)	3 გიორგი საკანდელიძე (თბილისი)
3 ნიკოლოზ რეხვიაშვილი (ონი)	3 გურამ გუგუნაშვილი (რუსთავი)

კოკაის კოტომიცუკი ემძიმა

მარტის ბაშოს მესამე ტურში ქართველი ლევან ცაგურია ისევ მინუსებში გადავიდა. კოკაიმ მეორე მარცხი სეკივაკე კოტომიცუკისთან იწვნია. ტურნირის ვებგვერდის ცნობით, ჩვენებურმა თავიდანვე შეუტია მეტოქეს, მაგრამ კონტრილეთი გამოეპარა და დავარდა.



ამასობაში სამი ტურის შემდეგ იმპერატორის თასისკენ მიმავალ გზას შვიდი დაუმარცხებელი დიდკაცი შერჩა. მათ შორის — რა გასაკვირია და — იოკოძუნა ასასიორუცაა. ცისფერი დრაკონის გუშინდელი ლუკმა მატადორი ამირისიკი იყო. შარშან სექტემბერში ამ ორთა დაპირისპირება პირუკუ შედეგით დასრულდა, ახლა კი დიდმა მონღოლმა რევანში აიღო.

ლიდერთა შვიდეულს ფეხდაფეხ მიჰყვება პირველი ევროპელი ოძეკი, ბულგარელი გოლიათი კოტოოსიუ. ორმეტრიანმა ბალკანელმა გულივერმა წინა დღით გართულებული ტრავმის მიუხედავად, გუშინ ჩვეულად ჭიდაობა შეძლო, ექსკომუსუბი ფუტენო დასცა. დღეს კოკაის წინ სწორედ კოტოოსიუ დადგება. აქამდე ეს ორი ევროპელი ერთმანეთს ექვსჯერ დასჭიდებია და ჩვენებურს მხოლოდ ორჯერ უმარჯვია.

ოთარ მაღლაკელიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge